პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 81-82 (18924) შაბათი, 7 აპრილი, 1984 წელი ფასი 4 კაპ.

გვიხმობს „წითელი შაბათობა"

◆ ამიერკავკასიის მაგისტრალის სამოქალაქო ნაგებობათა ნავთლუღის დისტანციის მშრომელებმა გადაწყვიტეს შაბათობაზე გამომუშავებული მთელი სახსრები ხუთწლედის ფონდში გადარიცხონ. დამკვრელურ სამუშაოზე მშრომელთა მობილიზაციაში „წითელი შაბათობის" დღეს ავანგარდული როლი კომუნისტებს ეკუთვნით.

— უკვე ახლა, — თქვა საწარმოს პარტიული ორგანიზაციის მდივანმა შ. მაჩაიძემ, — ჩვენ კავშირს ვამყარებთ ორგანიზაციებთან, რომლებიც გამოგვიყოფენ ობიექტებს მუშაობისათვის, განვსაზღვრავთ ამ ობიექტებზე შაბათობის მოწყობის წესს. მაგალითად, სამეურნეოანგარიშიანი კომპლექსური ბრიგადა, რომელსაც ხელმძღვანელობს უფროსი ოსტატი ო. იმერლიშვილი, შრომის დღესასწაულის დღეს მთელი შემადგენლობით განაგრძობს თბილისის მაჩაბლისხევის სადგურისა და თბილისის რკინიგზის კვანძის სანატორიუმ-პროფილაქტორიუმის კაპიტალური შეკეთების სამუშაოებს.

მეტი წილი დასახელი სამუშაოები შაბათობის ანგარიშში რუსთავის, გარდაბნის, გურჯაანის, თელავის სადგურებში დაკავშირებულია მგზავრთა საგაზაფხულო გადაყვანისათვის მზადებასთან, მიმზიდველი შემადგენლობების წარმატებით შედგენასთან და ტარებასთან.

◆ შაბათობაში მონაწილეობის მიღება გადაწყვიტეს უფროსი თაობის წარმომადგენლებმა, ამჟამად პენსიონერებმა, ქვაისის ტყვია-თუთიის მადანთსამმართველოს პირველმკვლევებმა. ისინი არა მარტო ამოიღებენ მადანს, არამედ მონაწილეობას მიიღებენ მშენებლობაში, დარგავენ 300 ძირ ხეს, დეკორაციულ მცენარეს. შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესების, სამთო ტექნიკის ეფექტიანი გამოყენების გზით გეგმის გადაჭარბებით ამოიღებენ ასეულობით მანეთის ტყვიისა და თუთიის კონცენტრატებს. [illegible]

◆ [illegible] დღეს სიღნაღის სამკერვალო ფაბრიკაში, წნორის მექანიკურ ქარხანაში, ადგილობრივი მრეწველობის რაიონულ კომბინატში, სხვა სამრეწველო საწარმოებში იმუშავებს ხუთი ათასზე მეტი კაცი. ისინი, ვინც დაკავებული არ იქნება უშუალოდ სამუშაო ადგილებზე, იმუშავებენ საწარმოების ტერიტორიების კეთილმოწყობისათვის, ქალაქის ქუჩების გამწვანებისათვის.

რაიონის საწარმოების ყველა კოლექტივი ამ დღეს იმუშავებს დაზოგილი მასალებით, გამოუშვებს 20 ათასი მანეთის პროდუქციას, ხოლო ხუთწლედის ფონდში შეიტანს 5 ათას მანეთს. (საქინფორმი).

საინფორმაციო ცნობა

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

6 აპრილს მუშაობა დაიწყო საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის XVII პლენუმმა. პლენუმზე მოწვეული არიან საქართველოს კომპარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტების პირველი მდივნები, პარტიის რაიკომების უფლებების მქონე პარტკომების მდივნები, მინისტრები, უწყებათა ხელმძღვანელები, რომლებიც არ შედიან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის შემადგენლობაში, სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეები, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანოების ხელმძღვანელი მუშაკები, სახალხო მეურნეობის დიდი საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელები, მეცნიერების, კულტურის, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო და სასაზღვრო ოლქების, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების წარმომადგენლები.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ეკონომიკის განყოფილების კონსულტანტთა ჯგუფის ხელმძღვანელი [illegible] და სკკპ ცენტრალური კომიტეტის ინსპექტორი [illegible].

პლენუმი იხილავს შემდეგ საკითხებს.

— სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „მართვის სისტემის სრულყოფისათვის, ეკონომიკური მუშაობის დონის ამაღლებისა და რესურსების რაციონალური გამოყენებისათვის საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მუშაობის შესახებ" და მის შესასრულებლად რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის ამოცანები სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს გამოსვლებში ჩამოყალიბებული დებულებებისა და დასკვნების შესაბამისად;

— საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროსა და სამდივნოს 1983 წლის საქმიანობის ანგარიში და პარტიული მუშაობის [illegible]

[illegible]

7 აპრილს პლენუმი მუშაობას განაგრძობს. (საქინფორმი).

მოწინავეთა მხარდამხარ

მიმდინარე წლისა და მთლიანად ხუთწლედის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის სტაბილურ, დამაჯერებელ შედეგებს აღწევს თბილისის „ელმავალმშენებლის" საწარმოო გაერთიანების ვეტერანი მუშა, ამწყობი ზეინკალი, ლენინის ორდენოსანი ლ. ვარდოსანიძე. იგი ყოველთვის მნიშვნელოვანი გადაჭარბებით ასრულებს ყოველდღიურ ნორმებს, მის ნაწარმს კონტროლი არ სჭირდება. მოსწონთ, უყვართ და ენდობიან ნოვატორს ახალგაზრდები. ყველა მათგანი ცდილობს ლ. ვარდოსანიძის ხელმძღვანელობით ჩაწვდეს ლითონის ოსტატური დამუშავების საიდუმლოებას. მის შრომით კალენდარზე რამდენიმე დღეში მაისი დადგება. მასთან ერთად საპირველმაისო სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმულია ყველა მისი ახალგაზრდა, გაერთიანების მთელი კოლექტივი.

სურათზე: ლერი ვარდოსანიძე.

ნ. კილაძის ფოტო.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

ქართული ენის სიწმინდისათვის

გაიმართა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი მუდმივი სახელმწიფო კომისიის სხდომა, რომელმაც განიხილა თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის უნიფიცირებული ნორმების დაცვის და დანერგვის აქტუალური საკითხები.

სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა კომისიის თავმჯდომარემ — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ დ. ქართველიშვილმა.

ინფორმაციები გააკეთეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორმა, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა გ. ლომთათიძემ და ამავე ინსტიტუტის დოცენტმა შ. აფრიდონიძემ.

საკითხების განხილვაში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. ენუქიძე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ვ. სირაძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმ- [illegible] ბაშვილი, საქართველოს სსრ გამომცემლობების, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე გ. ბაქრაძე.

სხდომაზე აღინიშნა, რომ უკანასკნელ წლებში განხორციელდა თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის უნიფიცირებული ნორმების დანერგვისა და დაცვის მთელი რიგი ღონისძიებები ისეთი დიდმნიშვნელოვანი სახელმძღვანელო დოკუმენტების საფუძველზე, როგორიც არის საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1979 და 1983 წლების დადგენილებები რესპუბლიკის სასწავლებლებში ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მდგომარეობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ.

ქართული ენის განვითარებისა და სწავლების შემდგომი გაუმჯობესებისათვის განსაკუთრებით ბევრი რამ გაკეთდა უკანასკნელ წლებში: გამოვიდა რუსულ-ქართული ლექსიკონის აკადემიური გამოცემა, მომზადდა და დასაბეჭდად გადაეცა ორთოგრაფიული [illegible] ბაზის — ბეჭდვითი ორგანოს „ქართული სიტყვის კულტურის საკითხები" კიდევ სამი წიგნი. [illegible] ორი წიგნიც, რომლებიც სემანტიკურ-სტილისტიკურ დარღვევათა ლექსიკონს წარმოადგენს.

საქართველოს თითქმის ყველა უმაღლეს სასწავლებელში შემოღებულია ქართული მეტყველების კულტურისა და პრაქტიკული სტილისტიკის კურსები, სისტემატურად ეწყობა რადიოსაუბრები, ტელეგადაცემების ციკლი „ქართული სალიტერატურო ენის სიწმინდისათვის".

სხდომაზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო პრესის, საშუალო და უმაღლესი სკოლის სახელმძღვანელოების ენის გაუმჯობესების, მთარგმნელთა კადრების მომზადების საკითხებს.

კომისიამ დაადგინა დაჩქარდეს „თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმების" მორიგი კრებულის მომზადება. განათლების სისტემაში ქართული სალიტერატურო ენის უნიფიცირებული ნორმების დანერგვისა და დაცვის მიზნით 1984-1986 წლებში მომზადდეს თანამედროვე ქა- [illegible]

სხდომის მუშაობის შედეგები შეაჯამა ამხ. დ. ქართველიშვილმა. (საქინფორმი).

სწორი აზრიდან, გამოცდილებით ყოველმხრივ შეიარაღებულნი — გადავიდეთ გაბედულ მოქმედებაზე!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „მართვის სისტემის სრულყოფისათვის, ეკონომიკური მუშაობის დონის ამაღლებისა და რესურსების რაციონალური გამოყენებისათვის საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მუშაობის შესახებ" და მის შესასრულებლად რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის ამოცანები სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს გამოსვლებში ჩამოყალიბებული დებულებებისა და დასკვნების შესაბამისად

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ე. ა. შევარდნაძის მოხსენება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVII პლენუმზე 1984 წლის 6 აპრილს

ამხანაგებო!

[illegible]

I. განვითარებული სოციალიზმის სრულყოფა მთელი პარტიის, ყოველი პარტიული ორგანიზაციის საქმეა

[illegible]

(გაგრძელება 2-ე გვ.)

სწორი აზრიდან, გამოცდილებით ყოველმხრივ შეიარაღებულნი — გადავიდეთ გაბედულ მოქმედებაზე!

(გაგრძელება)

[illegible]

ეკონომიკური ბაზა მომწიფებული სოციალიზმის საფუძველია.

ჩვენს პარტიულ ორგანიზაციაში ასეთ მიდგომას საფუძვლად ჩაუყარა მეთოდმა, რომლის არსია პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ორგანოების **ძალისხმევის კონცენტრაცია** საკვანძო სახალხო-სამეურნეო ამოცანების გადასაწყვეტად საუკეთესო საბოლოო შედეგების მიღწევის მიზნით, მეთოდმა, რომელიც განსაკუთრებით მტკიცედ დამკვიდრდა საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის შემდეგ. ეს აღინიშნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მორიგ გადაწყვეტილებაშიც ჩვენი რესპუბლიკის თაობაზე. დამკვიდრდა უმნიშვნელოვანესი სოციალურ-ეკონომიკური მაჩვენებლების ფორმირებისადმი პარტიული კონტროლის მწყობრი სისტემა. საპრობლემო სამუშაო ჯგუფები, კომისიები ცენტრში და ადგილებზე **დიდ ქმედით გავლენას ახდენენ ეკონომიკური და სოციალური ზრდის უმნიშვნელოვანეს პარამეტრებზე, საკვანძო საზოგადოებრივ-პოლიტიკური ამოცანების გადაწყვეტაზე.**

რატომ ვამჯობინეთ მუშაობის სწორედ ასეთი ფორმა? საქმე ის არის, რომ სახალხო მეურნეობის დარგების ვიწრო ვერტიკალური სპეციალიზაცია მთელი სიმწვავით აყენებს კოოპერირებისა და კოორდინაციის პრობლემას. ქვეყნისა და რესპუბლიკის რეგიონებს შორის ეკონომიკური კოოპერირების თანამედროვე დონის პირობებში, რომელსაც ჭეშმარიტად გიგანტური მასშტაბი ენიჭება, ზრდის ყველა ძირითადი ეკონომიკური და სოციალური პარამეტრი კომპლექსურია და წარმოგვიდგება მათი შემადგენელი ფაქტორების მთელი მრავალმხრივობით. ერთის ხარვეზი მწვავე დაღს ასვამს მეორის საქმიანობის შედეგებს და, რაღა თქმა უნდა, ჩვენს საერთო მაჩვენებლებს. **ამრიგად, სწორ კოორდინაციას, სინქრონულობას მუშაობაში, სხვადასხვა დაინტერესებული მხარის თანამშრომლობას დიდი გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება.**

სწორედ ამიტომ დავადგით სამუშაო ჯგუფების, საპრობლემო კომისიების შექმნის გზას, რომლებიც შესაძლებლობას გვაძლევს გავაძლიეროთ პარტიული გავლენა ამა თუ იმ საკითხებზე, უკეთ წარვმართოთ სხვადასხვა ორგანოთა და მუშაკთა მოქმედების კონცენტრაცია და კოორდინაცია, ოპერატიულად გამოვავლინოთ და აღმოვფხვრათ ვიწრო ადგილები, მივიღოთ კოლექტიური გადაწყვეტილებანი. **ეს არის კონტროლის, ორგანიზაციისა და კოორდინაციის ფორმა.** სამუშაო ჯგუფები არსებული ინსტიტუტების მაგივრობას კი არ ეწევიან, არამედ, პირიქით, **აერთიანებენ და აკოორდინირებენ** მათს მოქმედებას პარტიული ორგანოებისა და ორგანიზაციების მხრივ მკაცრი კონტროლის პირობებში. მათი მთავარი ამოცანა ის არის, რომ გააძლიერონ კადრების პასუხისმგებლობა მინდობილი უბნებისათვის, ხოლო როცა საჭიროა, აიძულონ პარტიული ზემოქმედების ძალით დაძლიონ მუშაობის ხელშემშლელი მიზეზები. ასეთი ფორმა აღმოფხვრის პარალელიზმს, ბიუროკრატიულ მიმოწერას, აძლიერებს მოქმედების ოპერატიულობას, შესაძლებლობას გვაძლევს გავლენა ვახდინოთ საქმის მდგომარეობაზე ადამიანების მეშვეობით, შესაბამისი კომუნისტი ხელმძღვანელების მეშვეობით. ამავე დროს არათუ არ მცირდება, არამედ მკვეთრად იზრდება არსებული მმართველობითი რგოლების, მათ შორის ცენტრალური კომიტეტის მდივნების, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეების, ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს განყოფილებების, მინისტრებისა და სხვების პასუხისმგებლობა.

ავიღოთ, მაგალითად, პარტიის ცენტრალური კომიტეტის შრომის ნაყოფიერების ზრდის პრობლემის სამუშაო ჯგუფი და ადგილობრივ პარტიულ ორგანოებთან, სამინისტროებთან, უწყებებთან, საწარმოებში შექმნილი ანალოგიური ჯგუფები. მათ ყველა დონეზე მუდამ ყურადღების ცენტრში აქვთ ეფექტიანობის ეს უმნიშვნელოვანესი მაჩვენებელი და ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ მის ფორმირებაზე. ამის შედეგად მეათე ხუთწლედში და მეთერთმეტე ხუთწლედის ორი წლის მანძილზე შრომის ნაყოფიერების მატებამ, მაგალითად, რესპუბლიკის მრეწველობასა და მშენებლობაში შესაბამისად 11,5 და 12,5 პუნქტით გადააჭარბა საშუალოდ ქვეყანაში მიღწეულ ტემპს.

ვაძლიერებთ რა პარტიულ გავლენას ამა თუ იმ მნიშვნელოვანი პრობლემის გადაჭრაზე, ჩვენ, უწინარეს ყოვლისა, მიზნად ვისახავთ შევქმნათ ამ პრობლემის **მართვის მწყობრი სისტემა,** მივანიჭოთ მუშაობას **მეტი სისტემურობა.** კაცმა რომ თქვას, პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოები ადრეც სისტემატურად მუშაობდნენ პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების საკითხებზე. ამას ყურადღებას უთმობდნენ ცენტრალური კომიტეტის მდივნებიც, მაგრამ შედეგი უმნიშვნელო იყო.

სამუშაო ჯგუფმა თავი მოუყარა, გააერთიანა სხვადასხვა ორგანოს და შესაბამისი ხელმძღვანელების, სპეციალისტების, მეცნიერების მეცადინეობა. წარმოიშვა მართვის კომპლექსური სისტემა, რომლის სამუშაო ორგანო გახდა რესპუბლიკის სახსტანდარტი. შეიქმნა რეგიონების ხარისხის სახლები, რომლებმაც იკისრეს სამეცნიერო-მეთოდიკური ცენტრების ფუნქციები პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების ნაწილში. ამის შედეგად სახელმწიფო ხარისხის ნიშნიანი ნაწარმის ხვედრითმა წილმა, რომელიც 1972 წელს წარმოების საერთო მოცულობის 0,2 პროცენტს შეადგენდა, ამჟამად მიაღწია 14,5 პროცენტს, ხოლო სატესტაციო პროდუქციის მოცულობაში — დაახლოებით ნახევარს. არსებული სისტემა მთელი ამ მუშაობის შემდგომი სრულყოფის საიმედო გარანტიას გვაძლევს.

გარდა ამისა, შესაბამისი სამუშაო ჯგუფის, უფრო სისტემური მიდგომის მეოხებით დიდად გააქტიურდა ჩვენი საქმიანობა შრომითი რესურსების რაციონალური გამოყენებისათვის, და იგი მჭიდროდ დაუკავშირდა სხვა დიდმნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების რეალიზაციას. უკანასკნელი წლების მანძილზე რესპუბლიკის საზოგადოებრივ წარმოებაში დამატებით ჩაება დაახლოებით ნახევარი მილიონი კაცი. ჩვენ დავადექით გზას — თავისუფალი შრომითი რესურსების მქონე სოფელ ადგილებსა და მცირე ქალაქებში შეგვექმნა მოქმედ სამრეწველო საწარმოთა ფილიალები, რაც შესაძლებლობას გვაძლევს რაციონალურად განვალაგოთ საწარმოო ძალები, უფრო ეფექტიანად გამოვიყენოთ საწარმოო პოტენციალი, მივაღწიოთ სხვადასხვა რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონეთა გათანაბრებას.

საამისო საფუძველი კვლავ მუშაობის სწორმა სისტემამ უზრუნველყო. თვისებრივად ახლებურად დაიწყო მოქმედება შრომის სახელმწიფო კომიტეტმა, შეიქმნა სამეცნიერო-კვლევითი ქვეგანაყოფი. ამრიგად, დღეს პარტიული და სამეურნეო ხელმძღვანელობა საიმედოდ ემყარება ორგანიზაციულ, მეცნიერულ და მეთოდიკური ბაზის ეფექტიან გამოყენებას. ეს შესაძლებლობას გვაძლევს დროულად განვსაზღვროთ რესურსების გამოყენების დარგის საკვანძო ამოცანები, ვფლობდეთ ზოგად სიტუაციას, ვიმოქმედოთ უფრო მიზანმიმართულად.

მაგალითად, მეცნიერთა და სპეციალისტთა პროგნოზების მიხედვით მომავალში რესპუბლიკაში მოსალოდნელია შრომითი რესურსების მომატება თითქმის 100 ათასი კაცით. ასეთ პირობებში უდავოდ აუცილებელია **კვლავაც გავაფართოოთ სამრეწველო საწარმოთა ფილიალების ქსელი,** მათი მშენებლობისა და რეკონსტრუქციის მასშტაბი.

მეორე, არანაკლებ ეფექტიანი გზაა **დამხმარე წარმოებებისა და ხელოსნობის ფართო განვითარება, მათ შორის, რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში.** ამ მხრივ საგულისხმოა მაიაკოვსკის რაიონის გამოცდილება. როგორც ცნობილია, 1979 წელს, ლენინგრადის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებასთან კოოპერაციით სოფელ ობჩაში ამოქმედდა სამეურნეოთაშორისო საწარმო, რამაც ფრიად დადებითი შედეგები მოიტანა როგორც შრომითი რესურსების დასაქმების დონის ამაღლების, ისე კოლმეურნეობათა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების თვალსაზრისით. მაგალითად, 1982 წელს მიღებულია მოგება 282 ათასი მანეთის ოდენობით. სამწუხაროდ, ეს გამოცდილება ჯერ კიდევ ნელა ინერგება.

მთლიანად, ყოველივე ზემოთქმული, ჩვენი აზრით, ადასტურებს მისწრაფებას **გადავიყვანოთ საქმე სოლიდურ ფუნდამენტურ საფუძველზე, შევუქმნათ მას გადამწყვეტი სერიოზული სამეცნიერო და მეთოდოლოგიური ბაზა.**

არანაკლებ ნაყოფიერი გამოდგა პარტიული გავლენის ისეთი ფორმაც, როგორიც არის **სახალხო მეურნეობის განვითარების შედეგების ყოველკვარტალური შეჯამება** საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროსა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის გაერთიანებულ სხდომებზე ფართო პარტიულ-სამეურნეო აქტივის მონაწილეობით. ამრიგად, დროულად ვლინდება გადასაწყვეტი საკითხები, სახალხო-სამეურნეო კომპლექსის დისპროპორციები, დამატებითი დავალებანი განესაზღვრებათ სამინისტროებს, უწყებებს, საწარმოებს, რეგიონებს, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ხუთწლედის საკონტროლო მიჯნების მიღწევა, უკეთ წარიმართოს მასების შრომითი ინიციატივა. გაუზვიადებლად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს სხდომები, არსებითად, გახდა **ჩვენი უმაღლესი სამუშაო ორგანო, რომელიც აკონტროლებს და ორგანიზაციას უწევს ხუთწლედის დავალებათა შესრულებას სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ძირითადი პარამეტრების მიხედვით.**

რესპუბლიკის ეკონომიკისადმი პარტიული ხელმძღვანელობის დამკვიდრებული სისტემის შედეგად, როგორც სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში აღინიშნა, ძლიერდება ეკონომიკური მუშაობა, უმჯობესდება სახელმწიფო გეგმების შესრულების კონტროლი და ორგანიზაცია. მნიშვნელოვანწილად, სწორედ ამის წყალობით შევძელით დაგვეძლია გარკვეული სიძნელენი, რომლებსაც 1981-1983 წლებში წავაწყდით ყურძნის მოსავლის სერიოზული შემცირების, ცალკეულ დარგებში წარმოების საგეგმო მოცულობათა შეკვეცის გამო. მარტო 1983 წელს სტიქიური უბედურების გამო 480 ათასი ტონა ყურძენი დაგვაკლდა. მიუხედავად ამისა, მრეწველობის პროდუქციის მატებამ გასულ წელს შეადგინა არა 3,2 პროცენტი, როგორც საწარმო-გაერთიანებათა გეგმების ჯამის მიხედვით უნდა ყოფილიყო, არამედ ხუთი პროცენტი, რაც აღემატება სოციალისტური ვალდებულებით ნაკისრს.

მიმდინარე წლის პირველ კვარტალშიც გამოშვებულია 74,6 მილიონი მანეთის ზეგეგმითი სამრეწველო პროდუქცია, ხოლო სამრეწველო წარმოების მატებამ 7,4 პროცენტი შეადგინა. შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპმა 106,1 პროცენტს მიაღწია. მთელი ეს მაჩვენებლები ბევრად აღემატება სახალხო-სამეურნეო გეგმის მიჯნებს.

რესპუბლიკის ეკონომიკის განვითარების ახლანდელ ეტაპზე საჭიროდ მიგვაჩნია გამოვიკვეთოთ **ორი ძირითადი ტენდენცია, ორი მთავარი ამოცანა,** რომლებიც გამომდინარეობენ თვით ჩვენს მიერ გადასაწყვეტი პრობლემების ხასიათიდან და არსიდან.

ჯერ ერთი, იქიდან, რომ წარმატებით ვაღწევთ მაგისტრალურ მიზანს, რომელიც პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დასახა თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებაში, **სწრაფი ტემპით ვძლევთ რესპუბლიკის გარკვეულ ჩამორჩენას საშუალო საკავშირო დონისაგან ზრდის უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური და სოციალური პარამეტრების მიხედვით.** მეორე კი, იქიდან, რომ გაწეული მუშაობის მიუხედავად, **გარღვევა ჯერ კიდევ არის,** და 1983 წლის შედეგების მიხედვით მან ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი საზოგადოებრივი პროდუქტის წარმოების მხრივ შეადგინა 15,3 პუნქტი, ეროვნული შემოსავლისა — 2,9, სასაქონლო მრეწველობის პროდუქციისა — 23,6, სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციისა — 10, საცალო საქონელბრუნვის მოცულობისა — 14,8, საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების დონისა — 14,3 პუნქტი.

სწორედ ეს განსაზღვრავს **ორგვარ მიდგომას** პარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილების შესრულებისადმი, **ტაქტიკურსა** და **სტრატეგიულს,** რომელიც მორიგი პერსპექტივისათვის არის გამიზნული.

ტაქტიკის თვალსაზრისით პრინციპული მნიშვნელობა ენიჭება საქართველოს თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების იმ ნაწილს, სადაც აღნიშნულია, რომ რესპუბლიკას საკმარისად აქვს სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების და ინტენსიფიკაციის რეზერვები. ამ რეზერვების ამოქმედებამ შესაძლებლობა უნდა მოგვცეს უახლოეს მომავალშივე **საბოლოოდ დავძლიოთ ჩამორჩენა საშუალო საკავშირო დონისაგან. ეს ერთი ტენდენციაა.**

ამასთანავე თვით ის ფაქტი, რომ სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მიმართა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამოცდილებას მართვის სისტემის სრულყოფის, ეკონომიკური მუშაობის დონის ამაღლებისა და რესურსების რაციონალური გამოყენებისათვის, აგრეთვე წინანდელი დადგენილებანი ჩვენი პარტორგანიზაციის შესახებ, ბევრი სიახლისა და თაოსნობის მხარდაჭერა მოწმობს ცენტრალური კომიტეტის ერთობ დაინტერესებულ დამოკიდებულებას, რომელიც უდიდეს ყურადღებას უთმობს რესპუბლიკას, ეს კი ნიშნავს, რომ დადგა დრო **მივაღწიოთ საქართველოს სს რესპუბლიკის გახდეს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური თვალსაზრისით მოწინავე და ყველაზე განვითარებული რეგიონების დონეზე. ახლა ეს ჩვენი სტრატეგიული ამოცანაა.**

ამჟამად ჩვენს რესპუბლიკას წარმოების მნიშვნელოვანი **რაოდენობრივი და თვისებრივი** ზრდის ობიექტური და სუბიექტური ფაქტორების მძლავრი პოტენციალი მოეპოვება. ძირითადი საწარმოო და არასაწარმოო ფონდების **მოცულობათა** შემდგომი ზრდა უნდა ხორციელდებოდეს მათი გამოყენების **ინტენსიფიკაციის** დონის ერთდროული ამაღლების პირობებში. **წარმოების დაჩქარებული გაფართოება ზრდის ინტენსიური და ექსტენსიური ფაქტორების გონივრული შეხამების პირობებში, მეტადრე არსებული დაუხარჯავი შრომითი რესურსების გათვალისწინებით, კვლავ რჩება რესპუბლიკის ეკონომიკის შემდგომი განვითარების 80-იანი და 90-იანი წლების გლობალურ სტრატეგიულ გეზად.**

ზემოთქმული განსაზღვრავს სამეურნეო საქმიანობისადმი პარტიული ხელმძღვანელობის სტილის, ფორმებისა და მეთოდების შემდგომი სრულყოფის მთავარ მიმართულებებსაც, რომლებშიც აქცენტი სულ უფრო მეტად უნდა გადაინაცვლოს **არსებული სამეურნეო მექანიზმის განახლებაზე, ეკონომიკური ბერკეტებისა და სტიმულების როლის გაძლიერებაზე, საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის გაუმჯობესებაზე.**

უკანასკნელ ხანს, მოცულობითი მაჩვენებლების ზრდასთან ერთად, რესპუბლიკაში საგრძნობლად ამაღლდა წარმოების კულტურა, ეკონომიკური მუშაობის დონე, რამაც საქართველოს შესაძლებლობა მისცა ქვეყნის სხვა მოწინავე რეგიონებთან ერთად სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის დეკემბრის პლენუმზე გამოსულიყო იმ მოძრაობის **ერთ-ერთი ინიციატორად,** რომლის მიზანია უზრუნველვყოთ შრომის ნაყოფიერების ზეგეგმითი ზრდა 1 პროცენტით და პროდუქციის თვითღირებულების დამატებითი შემცირება 0,5 პროცენტით. ამასთან სავალდებულო პირობაა, რომ **მეურნეობრიობის ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესების კვალობაზე გამოვლენილი მთელი რეზერვები მიმართულ დამატებითი პროდუქციის გამოშვებას.**

მაგალითად, რესპუბლიკის მრეწველობაში შრომის ნაყოფიერების ზეგეგმითი ზრდა 1,1 პროცენტით და პროდუქციის თვითღირებულების შემცირება 0,51 პროცენტით, როგორც ვალდებულებებით იყო გათვალისწინებული, უზრუნველყოფს შესაბამისად 110 მილიონ მანეთისაზე მეტი დამატებითი პროდუქციის გამოშვებას და თითქმის 46 მილიონი მანეთის მატერიალური რესურსების დაზოგვას. წინასწარი გაანგარიშებით, ეს შესაძლებლობას მოგვცემს აგროსამრეწველო კომპლექსში გავზარდოთ პროდუქციის გამოშვება 60 მილიონი მანეთით და შევამციროთ დანახარჯები 25 მილიონი მანეთით.

მიუხედავად ამისა, ზოგიერთი სამინისტროსა და უწყების, მაგალითად, ღვინის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტის, კვების მრეწველობის სამინისტროსა და სხვათა საწარმოებში და ორგანიზაციებში მთლიანად როდი იყენებენ შრომის ნაყოფიერების გაზრდისა და თვითღირებულების შემცირების არსებულ რეზერვებს. კაცმა რომ თქვას, მთლიანად ეს მუშაობა რესპუბლიკაში ჯერჯერობით სათანადოდ ღრმად არ ხორციელდება. სამეურნეო ხელმძღვანელებმა, პარტიულმა ორგანიზაციებმა **ჯერ ვერ შეიმუშავეს ამ პროცესის მართვის ქმედითი სისტემა.** ისეთ მოწინავე საწარმოშიც კი, როგორიცაა თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხანა, ამ ღონისძიებებს სათანადო ადგილი არ დაუკავებია სოციალისტური ვალდებულებების შესრულების ორგანიზაციისა და კონტროლის ღონისძიებათა სისტემაში.

საქმეს აქტიურად უნდა მოჰკიდონ ხელი პარტიულმა კომიტეტებმა და პარტიულმა ორგანიზაციებმა. სკკპ ცენტრალური კომიტეტი ხომ ამ საკითხს **გეგმისათვის პარტიის დამატებით დავალებად** მიიჩნევს, და ეს გადაწყვეტილება სავალდებულოა თითოეული კომუნისტისათვის. კვლავაც **სრულვყოთ სამეურნეო მექანიზმი, განვავითაროთ სამეურნეო ანგარიშის საწყისები, როგორც ეს მოითხოვა ამხანაგმა კ. უ. ჩერნენკომ, — აი ჩვენი ძირითადი რეზერვი, ყველა ეკონომიკური ექსპერიმენტისა და სიახლის განვითარების, რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ორგანოების ძალების კონცენტრაციის მაგისტრალური გზა.**

საწარმოების, ორგანიზაციებისა და მეურნეობების ეკონომიკური საქმიანობის, მუშაობის ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესება დამოკიდებულია, უწინარეს ყოვლისა, იმაზე, თუ შრომისა და მატერიალური რესურსების **რა დანახარჯების ფასად მზადდება საბოლოო პროდუქცია. უყაირათო მომჭირნეობა, რესურსების რაციონალური გამოყენება** — ეს არის ახლა საზოგადოებრივი კვლავწარმოების სწრაფი ტემპის უზრუნველყოფის ერთადერთი გზა. და შემთხვევით როდი განიხილავს ამ საკითხს საქართველოს შესახებ გადაწყვეტილებაში სკკპ ცენტრალური კომიტეტი მართვის სისტემის სრულყოფასთან და ეკონომიკური მუშაობის გაუმჯობესებასთან ერთად.

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობას, შრომითი კოლექტივების სოციალისტურ შეჯიბრებას მიზნად უსახავს ყველა სახეობის რესურსების დაზოგვას. სრულდება უმნიშვნელოვანეს სახეობათა ნედლეულის, სათბობისა და ენერგიის დაზოგვის საგეგმო დავალებანი. გააქტიურდა მეორეული რესურსების შეგროვების, დამზადებისა და გადამუშავებისათვის მუშაობა.

ამ მაღალი შეფასების მიღმა დგას რესპუბლიკის ყველა პარტიული ორგანიზაციის, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოს დიდი ორგანიზატორული საქმიანობა. და ამ სფეროში ჩვენში **შექმნილია მომჭირნეობისა და უყაირათობის პროცესების მართვის ქმედითი ტერიტორიულ-დარგობრივი სისტემა.** მოქმედებს სამუშაო ჯგუფი ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივნის ხელმძღვანელობით, რომლის სამუშაო ორგანო გახდა რესპუბლიკური საუწყებათშორისო კომისია, რომელსაც სახმომარაგების თავმჯდომარე მეთაურობს. აქტიურად მოქმედებენ პარტიულ კომიტეტებთან, სამინისტროებთან და უწყებებთან, საწარმოებში შექმნილი სამუშაო ჯგუფები და კომისიები. ამგვარად, რესურსების რაციონალური ხარჯვის პრობლემა წყდება ამავე დროს დარგობრივად და, რასაც პრინციპული მნიშვნელობა აქვს, დარგთაშორისი ჭრილით მკაცრი პარტიული კონტროლის პირობებში.

მეათე ხუთწლედში და მეთერთმეტე ხუთწლედის სამ წელიწადში კომპლექსური მეცნიერული მიდგომის შედეგად რესპუბლიკის მთლიანი საზოგადოებრივი პროდუქტის ზრდის ტემპი შესამჩნევად უსწრებდა მატერიალური დანახარჯების ზრდის ტემპს. ყაირათიანი მეურნეობრიობის კარგ მაგალითს იძლევა, მაგალითად, ფოთის ჰიდრომექანიზაციის ქარხნის კოლექტივი, სადაც ბოლო ხუთ წელიწადში წარმოების მოცულობის 23 პროცენტით ზრდის პირობებში მატერიალური დანახარჯები სულ 11,7 პროცენტით გაიზარდა. მატერიალური და ენერგეტიკული დანახარჯების არსებითი შემცირებას მიაღწიეს თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხანაში, თბილისის სსრ კავშირის 50 წლისთავის სახელობის საწარმოო გაერთიანებაში და სხვა საწარმოებში.

მიუხედავად ამისა, ყველა არსებული რეზერვი და შესაძლებლობა როდი გამოიყენება. კაპიტალურ მშენებლობაში წუნისა და დანაკარგების მიზეზით, მაგალითად, ყოველწლიურად იკარგება ავურის დაახლოებით 10 პროცენტი, სამშენებლო მინის 20-მდე პროცენტი. მთლიანად ჯერ კიდევ ძალზე დიდია მატერიალური დანახარჯები სოფლის მეურნეობაში, აგრეთვე, ბევრ სამრეწველო საწარმოშიც. საწარმოო გაერთიანება „აზოტში", მიუხედავად იმ ახალი აგრეგატების ამოქმედებისა, რომლებიც ნაკლებ მატერიალურ დანახარჯებს მოითხოვენ, მეთერთმეტე ხუთწლედის დამდეგიდან უკვე გადახარჯულია 50 მილიონ მანეთზე მეტი.

მატერიალურ-ტექნიკური რესურსების ხარჯვისადმი ასეთ დამოკიდებულებას ვეღარ შევურიგდებით. **დღეს ხომ რესპუბლიკაში მატერიალური დანახარჯების ერთი პროცენტით შემცირება ეროვნული შემოსავლის 100 მილიონი მანეთით გადიდებას ნიშნავს.** ეს ორჯერ მეტია, ვიდრე ათი წლის წინათ იყო. მაშასადამე, ამ საკითხისადმი ყურადღება ყველგან უნდა გავაორკეცოთ და გავასამკეცოთ. მეტი გერგილიანობა და ინიციატივა უნდა გამოიჩინონ ადგილობრივმა პარტიულმა, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებმა, წამოაყენონ სასარგებლო წინადადებანი და მიაღწიონ მათ რეალიზაციას.

მატერიალურ-ტექნიკური რესურსების რაციონალური გამოყენების საკითხებისადმი მიძღვნილ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე ვთქვით, რომ ეს პრობლემა **ფართო, კომპლექსურ მიდგომას მოითხოვს.** მის გადაწყვეტაზე ძალზე უარყოფით გავლენას ახდენს უყაირათობა, არამწარმოებლური ხარჯები და დანაკარგები. მეთერთმეტე ხუთწლედის სამი წლის მანძილზე რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის სისტემაში მათ შეადგინეს, მაგალითად, 71 მილიონ მანეთზე მეტი, მშენებლობის სამინისტროს სისტემაში — 81,7, ხიდმშენებლობის მეურნეობის სამინისტროსი — 40,6, სასოფლო მშენებლობის სამინისტროსი — 37,5, ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროსი — 27,6 მილიონი მანეთი და ა. შ. მარტო 1983 წელს წუნის გამო სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოებმა ანგარიშვებლობიდან გამორიცხეს შვიდ მილიონ მანეთზე მეტი ღირებულების მზა პროდუქცია.

ძალზე დიდი რეზერვია სამეურნეო ბრუნვაში **მოწყობილობის, ნედლეულისა და მასალების ზენორმატიული მარაგის მოქცევა,** მაგრამ რესპუბლიკაში ეს მარაგი არათუ არ მცირდება, არამედ მატულობს კიდეც. ზენორმატიული მარაგა უყაირათობის მრავალი გამოვლინების ყველაზე კონცენტრირებული მაჩვენებელია. ამიტომ სამინისტროებმა და უწყებებმა უფრო ეფექტიანად უნდა მართონ მათი შემცირების პროცესი. **დროა რესპუბლიკაში დავადგინოთ მოწყობილობის ზენორმატიული მარაგისა და საწარმოო მარაგის დონის შემცირების საერთო დავალება და გავაცნოთ იგი ყველა საწარმოსა და გაერთიანებას.** ეს პროცესიც აუცილებლად მართვადი უნდა გავხადოთ.

სოციალისტური საზოგადოების საყოველთაო შრომას უწოდებენ საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას, ამასთან გულისხმობენ, რომ იგი ხელს უწყობს ხალხისათვის საჭირო საზოგადოებრივი დოვლათის გამრავლებას. მაგრამ თუ საწარმოს პროდუქცია ამა თუ იმ მიზეზით გროვდება საწყობებში, ვერ პოულობს მომხმარებელს, შრომის რა სარგებლიანობაზე შეიძლება ამ დროს ლაპარაკი? **საწარმოო საქმიანობა საზოგადოების მაღალ უკუგებას მხოლოდ მართვე მეურნეობრიობის პირობებში მოუტანს.**

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში საქართველოს სსრ პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების ყურადღება ეპყრობა იმას, რომ საჭიროა დააჩქარონ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევების, უნარჩენო ტექნოლოგიური პროცესების დანერგვა, განაგრძონ ნედლეულის, მასალების, ენერგიის, ადგილობრივი რესურსების, ტყის მარაგის დაზოგვისა და რაციონალური გამოყენების რეზერვების ძიება.

ახლა ამოცანა ის არის, რომ **ნიადაგ უზრუნველვყოთ ეროვნული შემოსავლის უპირატეს ზრდას მთლიან საზოგადოებრივ პროდუქტთან შედარებით.** ეს ჩვენი სახალხო მეურნეობის ეფექტიანობისა და ინტენსიფიკაციის უმნიშვნელოვანესი განმაზოგადებელი მაჩვენებელია. და თუ აქ მომჭირნეობის რეჟიმს არ გავაძლიერებთ, არაფერი გამოგვივა.

ამ მიზნით **შემდგომ სრულყოფას მოითხოვს რესურსების უყაირათო ხარჯვის მართვის არსებული სისტემაც.** უწინარეს ყოვლისა, უკეთ უნდა შევუხამოთ ერთმანეთს დარგობრივი და ტერიტორიული მართვა და რესურსების დაზოგვის დაგეგმვა. არ უნდა დავუშვათ, რომ რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი დროულად არ იღებდეს ცნობებს მომჭირნეობის დავალებათა შესახებ, რომლებსაც ზემდგომი ორგანოები უწესებენ საკავშირო-რესპუბლიკურ სამინისტროებსა და უწყებებს და საკავშირო დაქვემდებარების საწარმოებს. ეს ცნობები ზოგჯერ დიდი დაგვიანებით მოდის. ბევრი რამ შეიძლება მოგვცეს წარმოების ნარჩენებისა და მეორეული რესურსების გამოყენებისათვის დარგთაშორისო კოოპერაციის ორგანიზაციამ. ეს ხომ თითქმის ხელუხლებელი ყამირია. მიზანმიმართულად უნდა ჩამოვაყალიბოთ ტერიტორიული უნარჩენო სამრეწველო სისტემები. **უნარჩენო წარმოება ჩვენი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა პერსპექტივისათვის.**

ჯერ კიდევ არასაკმარისია რესურსების დაზოგვის **რეგიონალური მართვის** ეფექტიანობა. მაგალითად, ქუთაისისა და რუსთავის ზოგიერთი საწარმო ყოველთვის უყაირათოდ ხარჯავს ლითონს, სათბობს, ენერგიას, მაგრამ ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოები არ იჩენენ სათანადო მომთხოვნელობას. ანდა, ავიღოთ მეორე მაგალითი. ამას წინათ რესურსების დაზოგვის რესპუბლიკურმა საუწყებათშორისო კომისიამ განიხილა საკითხი კვაისის ტყვია-თუთიის მადაროთსამმართველოში ლითონების, ნედლეულის, მოწყობილობის განიავების აღმაშფოთებელი ფაქტების შესახებ. ამავე დროს კი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის პარტიული და საბჭოთა ორგანოები, საუწყებათშორისო კომისია არ აბორიელებდნენ ყველა ამ დარღვევის აღმოფხვრის საჭირო ღონისძიებებს.

დარგების, საწარმოებისა და მეურნეობების მუშაობის, განვითარების ხარისხობრივი მაჩვენებლებისადმი გაზრდილი ყურადღება არის სწორედ პარტიული ხელმძღვანელობის სტილის ნიშანი, რომელიც უზრუნველყოფს პროდუქციის წარმოებისათვის საზოგადოებრივი ხარჯების შემცირებას, ჩვენი საერთო სახალხო დოვლათის რაციონალურ გამოყენებას.

ასეთი მაღალი მოთხოვნები **საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის** დონისადმი მომთხოვნელობის გაძლიერებასაც გულისხმობს. იგი სარკესავით ასახავს საწარმოო პროცესის ყველა ნაკლს. დამატებითი მეცადინეობის მეოხებით შეიძლება მოცულობითი მაჩვენებლების შეუსრულებლობის ანაზღაურება, მაგრამ ყველა შეცდომა უთუოდ მძიმე ტვირთად აწვება საწარმოს ეკონომიკას. ამიტომ აქ განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს კარგი ორგანიზებულობა, სიზუსტე, რიტმული მუშაობა. **ეკონომიკური მაჩვენებლები, კაცმა რომ თქვას, იმის მაჩვენებლებია, თუ რა მეცადინეობის ფასად ვაღწევთ საბოლოო შედეგს, ვაწარმოებთ პროდუქციას.**

უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო ხანს ამ საკითხებისადმი ყურადღების გაძლიერების კვალობაზე სამინისტროებისა და უწყებების, გაერთიანებებისა და საწარმოების ხელმძღვანელებმა უფრო მიზანმიმართულად დაიწყეს მუშაობა ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. მაგრამ ცალკეული საწარმოები და გაერთიანებები ჯერ კიდევ ვერ ართმევენ თავს მოგებისა და თვითღირებულების საგეგმო დავალებებს. 1983 წელს დიდი ზეგეგმითი ზარალი დაუშვეს რუსთავის მეტალურგიულმა ქარხანამ, საწარმოო გაერთიანება „საქქვანახშირმა", კვაისის ტყვია-თუთიის მადაროთსამმართველომ. მოგების გეგმა ვერ შეასრულეს საწარმოო გაერთიანება „ელმავალმშენებელმა", ფოთის გემთშემკეთებელ-გემთსაშენებელმა ქარხანამ და სხვებმა.

მოგების დავალებათა ჩაშლის ძირითადი მიზეზებია მიწოდების ცუდი დისციპლინა, პროდუქციის მდარე ხარისხი, დიდი ოდენობით ჯარიმებისა და საურავების გადახდა, აგრეთვე მთელ რიგ შემთხვევებში მატერიალური, შრომითი და ფინანსური რესურსების არარაციონალური გამოყენება. რა გამართულ სამეურნეო მექანიზმზე შეიძლება აქ ლაპარაკი?

უფრო ღრმად უნდა ჩავწვდეთ ამ საკითხებს, საგნობრივად მოვეკიდოთ მათ. სახასიათოა, მაგალითად, რომ დიდი ხნის მანძილზე პირველად მოგებით დაამთავრა სამეურნეო წელი რესპუბლიკის მშენებლობის სამინისტრომ. ამხანაგები გვპირდებიან, რომ წელს განამტკიცებენ ამ ტენდენციას. მიუხედავად ამისა, მთლიანად დარგში მოგება კი არ მატულობს, არამედ მცირდება. რა თქმა უნდა, გავლენას ახდენს მასალების საბითუმო ფასების ზრდა, სატრანსპორტო სქემების შეცვლა და მთელი რიგი სხვა მიზეზები. მაგრამ ჯერ კიდევ ძალაში [illegible] სამრეწველო [illegible], კაცმა რომ თქვას, მათი ხელმძღვანელობა.

აქ ბევრი რამ არის დამოკიდებული **სამეურნეო ორგანოებთან საფინანსო-საკრედიტო სამსახურების ეფექტიან ურთიერთმოქმედებაზეც.** მაგალითად, ფინანსთა სამინისტრო და საბანკის რესპუბლიკური კანტორა საკმაოდ წარმატებით ახორციელებენ აღრიცხვის საცდელი დაყენების ექსპერიმენტს. საბანკის საქართველოს კანტორამ აქტიურად მოჰკიდა ხელი კლიენტურის მომსახურების ახალი ფორმების დანერგვას და სხვ.

მაგრამ დღეს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ახალი გადაწყვეტილების შესაბამისად, რესპუბლიკის ეკონომიკის წინაშე მდგომი გაზრდილი ამოცანები მოითხოვს საფინანსო-საკრედიტო მუშაობის, ფინანსური დისციპლინის თვისებრივად ახალ დონეზე აყვანას. **ჩვენ გვჭირდება არა უარყოფითი ტენდენციების კონსტატაცია, არამედ მათი თავიდან აცილება, ნაკლოვანებათა დაძლევა.**

სწორედ ამ მიზანს ემსახურება ექსპერიმენტი, ამჟამად რომ ხორციელდება ფოთში, მახარაძისა და საგარეჯოს რაიონებში სსრ კავშირის საბანკის მხარდაჭერით. ექსპერიმენტის პროცესში მიმდინარეობს სამეურნეო ორგანიზაციებთან საბანკო დაწესებულებათა საკრედიტო ურთიერთობის ახალი ფორმების აპრობაცია, რომლებიც ხელს უწყობენ ბანკის როლის გაზრდას, მეურნეობრიობის შედეგებზე მისი ზემოქმედების გაძლიერებას, სახელმწიფო სახსრების მზრუნველ და რაციონალურ გამოყენებას, კრედიტების დაბრუნების გაუმჯობესებას. მაგალითად, იცვლება კრედიტებით სარგებლობის პროცენტის განაკვეთი. თუ საწარმო ვერ შეასრულებს ბანკის წინაშე ნაკისრ ვალდებულებას, ბანკის დაწესებულებანი უკვე აღარ წყვეტენ საკრედიტო ურთიერთობას სამეურნეო ორგანოებთან, ოღონდ იმ პირობით, თუ ისინი აქტიურ და ქმედით ზომებს მიმართავენ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

ექსპერიმენტის დიდმნიშვნელოვანი ელემენტია კოლმეურნეობებში საბრუნავი სახსრების ნორმირების დანერგვა და კოლმეურნეობათა გადაყვანა დაკრედიტებაზე საკუთარი საბრუნავი სახსრების გათვალისწინებით. ამჟამად ეს სიახლე უკვე ინერგება რესპუბლიკის ყველა კოლმეურნეობაში.

სხვათა შორის, იმისათვის, რომ კომპეტენტურად გავუძღვეთ მთელ ამ მუშაობას, სულაც არ არის სავალდებულო ველოდოთ, თუ როდის ჩაებმება ესა თუ ის საწარმო რომელიმე ექსპერიმენტში. ჩვენ კი უკვე გვაქვს ასეთი ტენდენცია. **სამეურნეო მექანიზმის გასაუმჯობესებლად უნდა ვიმუშაოთ დღენიადაგ, გამოვიჩინოთ საქმიანი ინიციატივა, აქტიურად გამოვიყენოთ არსებული ბერკეტები და ამავე დროს შევიარაღდეთ ახალი გამოცდილებით, თავიდან მოვიშოროთ ის, რაც ხელს გვიშლის წინსვლაში. ეს ყველა პარტიული ორგანიზაციის ძალების გამოყენების უმნიშვნელოვანესი სფეროა.**

პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა უკანასკნელ ხანს აღძრა სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის, საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის გაუმჯობესებისა და პრინციპულად ახალ სიმაღლეზე აყვანის საკითხები, ვინაიდან ისინი **უშუალოდ უკავშირდება საბჭოთა ადამიანების ცხოვრების დონის შემდგომ ამაღლებას.** მეურნეობრიობის ახალი მექანიზმი ხელშემწყობ პირობებს უქმნის წარმოების ეფექტიანობის ზრდას, და მასთან ერთად მატულობს შრომის ნაყოფიერება, მოგება, შემოსავალი, და ამ საფუძველზე მატულობს მთელი ის სიკეთე, რომელსაც ჩვენი განვითარებული სოციალისტური საზოგადოების ყველა წევრი იღებს. თავის არჩევნებისწინა სიტყვაში ამხანაგმა კ. უ. ჩერნენკომ შეგვახსენა ერთი მარტივი, მაგრამ ფრიად ბრძნული ჭეშმარიტება: იმისათვის, რომ უკეთ ვიცხოვროთ, საჭიროა უკეთ ვიმუშაოთ. **საწარმოებისა და გაერთიანებების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სამეურნეო საქმიანობის დონე — სწორედ ეს არის ჩვენი კოლექტიური შრომის ხარისხის, ეკონომიკისადმი პარტიული ხელმძღვანელობის არსებული ფორმებისა და მეთოდების ქმედითობის დამაჯერებელი მაჩვენებელი.**

II. სრულვყოთ სამეურნეო მექანიზმი — ნიშნავს სრულვყოთ სახალხო მეურნეობის მართვა

მომწიფებული სოციალიზმის სრულყოფის ერთ-ერთი მიმართულება უშუალოდ არის მოქცეული პარტიის ცენტრალური კომიტეტის იმ მოთხოვნის კალაპოტში, რომ **საჭიროა წარმოებითი ურთიერთობა შევუსაბამოთ ჩვენი საზოგადოების საწარმოო ძალების განვითარების დონეს.** წარმოებითი ურთიერთობის ერთ-ერთ არსებითი ელემენტად კი **მართვა** გვევლინება.

ამ მხრივ ჩვენს რესპუბლიკურ პარტორგანიზაციას უკანასკნელი 10-12 წლის მანძილზე გარკვეული გამოცდილება დაუგროვდა. არსებითად, სამეურნეო მექანიზმის განახლებისა და მართვის გაუმჯობესების საქმეს ჩვენ განვიხილავთ როგორც ეკონომიკისადმი პარტიული ხელმძღვანელობის სტილის სრულყოფასთან დაკავშირებულ საკითხთა ერთ კომპლექსს. **მთელი ჩვენი მმართველობითი ექსპერიმენტები ასევე წარმოადგენს პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების ძალისხმევის კონცენტრაციის ქმედით ფორმას.** თქვენ გახსოვთ, რომ ამ თვალსაზრისით ერთ-ერთი პირველი მერცხალი გახდა რაიონის აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის აბაშური გამოცდილება. ჩამოყალიბდა გაერთიანება, რომელშიც სოფლის მეურნეობასთან ერთად შევიდნენ მისი მომიჯნავე დარგები. ეს თვით ცხოვრების, სამეურნეო პრაქტიკის მოთხოვნილება. ახალმა მეთოდმა შესაძლებლობა მოგვცა მკვეთრად აგვემაღლებინა რაიონის ეკონომიკა, გვეცვალა მისთვის სახე.

ალბათ გახსოვთ, რამდენი დავის, კამათის, ეჭვების, აშკარა უნდობლობისა და ხშირად წინააღმდეგობის გადატანა მოგვიხდა მაშინ. მაგრამ ჩვენ მტკიცედ მივდიოდით მიზნისაკენ. აბაშელთა გამოცდილება აიტაცეს და განავითარეს მახარაძესა და ზოგიერთ სხვა რაიონში. რაიონულ გაერთიანებებში შემავალ საწარმო-ორგანიზაციათა სახსრების ანარიცხებით შეიქმნა ცენტრალიზებული ფონდები, რომელთა ოდენობამ გასულ წელს 50 მილიონ მანეთს გადააჭარბა. ამან შესაძლებლობა მოგვცა ნამდვილად განვევითარებინა ინიციატივა, თაოსნობა ადგილებზე, აგვემოქმედებინა მძლავრი ეკონომიკური ბერკეტი, დამოუკიდებლად გადაგვეჭრა ბევრი პრობლემა, აღგვეკვეთა დისპროპორციები, შეგვექმნა ნარჩენების გამოყენების, ადგილობრივი ნედლეულისაგან საშენ მასალათა წარმოების მთელი დარგები და ა. შ. **სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისის პლენუმზე, საქართველოს შესახებ მიღებულ მორიგ გადაწყვეტილებაში ამ გამოცდილებას მაღალი შეფასება მიეცა.**

ახლანდელ ხუთწლედს თამამად შეგვიძლია ვუწოდოთ აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის ახალი ორგანოების გამოცდის ხუთწლედი. მიუხედავად იმისა, რომ სამივე განვლილი წელი უაღრესად არახელსაყრელი გამოდგა ამინდის პირობების მხრივ, და რესპუბლიკაში პირდაპირ ზედიზედ აწყდებოდა თავს სტიქიური უბედურებანი, სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის საშუალო წლიურმა ზრდამ მეათე ხუთწლედთან შედარებით შეადგინა 9 პროცენტი, ხოლო მთლიანად აგროსამრეწველო კომპლექსმა დაძლია ყურძნის, მარცვლეულის, ხილისა და სხვა პროდუქტების კოლოსალური დანაკარგები და მიაღწია ხუთწლედის საკონტროლო დავალებებით გათვალისწინებულ დონეს.

შემდეგი ნაბიჯი, როგორც ცნობილია, ის იყო, რომ სოფლის მეურნეობის, მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროებისა და საქსასოფლოტექნიკის ბაზაზე შეიქმნა სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტი. გაუქმდა შუალედური რგოლები, ამაღლდა კომპეტენტურობა და დარგის მართვის ოპერატიულობა. ბევრი საკითხი, რომლებიც წინათ დირექტიული ორგანოების ჩარევას მოითხოვდა, დღეს უშუალოდ ოპერატიულ თათბირებზე წყდება.

ახლა, როგორც ცნობილია, ჩვენ შესაძლებლად მივიჩნიეთ ანალოგიური სამსახურების შერწყმა რაიონულ რგოლშიც. სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტმა დაინტერესებული სამინისტროებისა და უწყებების, მეცნიერებისა და სპეციალისტების მონაწილეობით შეიმუშავა რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანებათა ახალი სტრუქტურა. რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანებისა და მისი სტრუქტურის დებულების პროექტი უკვე განხილულია საკავშირო ორგანოებში და გამოქვეყნებულია რესპუბლიკურ გაზეთებში საყოველთაო განხილვისათვის. ამ ცოტა ხნის წინათ კი საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ ამის თაობაზე სპეციალური დადგენილება მიიღეს. ამით მთავრდება აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის ორგანოების ფორმირება რესპუბლიკური დონიდან ძირეულ რგოლებამდე.

წინასწარი გაანგარიშებით, ახალი სტრუქტურა შესაძლებლობას მოგვცემს მმართველობითი აპარატი შევამციროთ კიდევ დაახლოებით 1200 კაცით. შესაძლებელი ხდება უკეთ მოვუყაროთ თავი შრომით და მატერიალურ რესურსებს გადამწყვეტ უბნებზე. ხორციელდება მოწყობილობის, ტრანსპორტის, სათადარიგო ნაწილების, კომბინირებული საკვების, საშენი და საწვავ-საპოხი მასალების, მინერალური სასუქების, შხამქიმიკატების ცენტრალიზებული მიტანა მეურნეობებში და ა. შ.

ერთი სიტყვით, ჩვენ მიგვაჩნია, რომ **ამჟამად შექმნილია ხელმძღვანელობის ორგანოები, რომელთა მეოხებითაც შეგვიძლია გავატაროთ ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკა სოფლად.**

სასოფლო-სამეურნეო წარმოების მართვის გარდაქმნა შეეხო არა მარტო ორგანიზაციულ სფეროს, არამედ **თვით მმართველობითი საქმიანობის მეთოდებსაც.** როგორც პარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებაშია აღნიშნული, დღეს მთელ რიგ რაიონებში გამოიყენება მართვის ავტომატიზებული სისტემები, რომლებიც ხელს უწყობენ შრომითი და მატერიალური რესურსების გამოყენების გაუმჯობესებას. მხედველობაში გვაქვს მართვის ავტომატური სისტემა — „რთველი", მართვის ავტომატური სისტემა — „ჩაი". მათი გამოყენების შედეგები გვაძლევს საფუძველს დავაყენოთ საკითხი **მთლიანად რაიონის აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის ავტომატიზებული სისტემის შემუშავების დაჩქარების შესახებ.** ასეთი სამუშაოები წარმოებს ახლა თელავისა და გარდაბნის რაიონებში.

აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის გაუმჯობესებამ, ადგილობრივი რგოლების ინიციატივის, დამოუკიდებლობის გაძლიერებამ შექმნეს საჭირო წანამძღვრები, რათა **ვეძებოთ სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების ზრდისა და ყოველმხრივი ინტენსიფიკაციის შემდგომი გზები.** მაგალითად, რესპუბლიკის ბევრმა რაიონმა დანერგა **საზოგადოებრივი მეურნეობებისა და მოსახლეობის პირად დამხმარე მეურნეობათა ერთობლივი მუშაობის** საინტერესო ფორმები მეცხოველეობისა და სხვა პროდუქციის წარმოების გასადიდებლად. ამას მნიშვნელოვანწილად უწყობს ხელს სოფლის მოსახლეობაში ნამეტი სოფლის მეურნეობის პროდუქტების შესყიდვის ახალი სისტემაც, როცა როგორც საზოგადოებრივ სექტორში, ისე მოსახლეობას შორის პროდუქტთა შესყიდვის ფუნქციებს მრავალრიცხოვანი დამამზადებელი ორგანიზაციების ნაცვლად ძირითადად კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები ასრულებენ, რამაც მათ საშუალება მისცა 47 მილიონი მანეთით გაედიდებინათ წმინდა შემოსავალი და მოგება. გაწეული მუშაობის მთავარი შედეგია **მოსახლეობის იმ პირად დამხმარე მეურნეობებში პროდუქციის წარმოების მიზანმიმართული მართვა,** რომლებიც აქტიურად და გეგმაზომიერად ებმებიან რესპუბლიკის სასურსათო ბალანსის ფორმირებაში.

საქართველოს შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში აღნიშნულია, რომ რესპუბლიკაში გადიდდა ჩაის ფოთლის, ხილისა და ციტრუსის მთლიანი მოსავალი და დამზადება. ეს მიღწევა უწინარეს ყოვლისა **დარგის ინტენსიფიკაციის** დონის ამაღლების შედეგია. მაგრამ არსებული შესაძლებლობანი ჯერ კიდევ სრულად არ გამოიყენება. სასურსათო პროგრამის რეალიზაცია, ამ მიზნით სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი უდიდესი სახსრების ათვისება აუცილებელს ხდის **ყოველმხრივ გავაძლიეროთ ეკონომიკური მუშაობა სოფლად, ფართოდ დავნერგოთ სამეურნეო ანგარიში, კოლექტიური იჯარა, სხვა ეკონომიკური ბერკეტები,** ერთი სიტყვით, როგორც ხაზგასმით აღნიშნა ამხანაგმა კ. უ. ჩერნენკომ აგროსამრეწველო კომპლექსის პრობლემებისადმი მიძღვნილ საკავშირო ეკონომიკურ თათბირზე გამოსვლისას, — ყოველივე ის, რასაც ვგულისხმობთ მართვაში და სამეურნეო მექანიზმში.

(გაგრძელება მე- 3 გვ.)

სწორი აზრიდან, გამოცდილებით ყოველმხრივ შეიარაღებულნი — გადავიდეთ გაბედულ მოქმედებაზე!

(გაგრძელება)

მართვის ადმინისტრაციული და ეკონომიკური მეთოდების მარჯვე შეხამებას დიდი ეფექტი მოაქვს. მაგალითად, დიდრენტაბელურ მეურნეობებსა და ძნელ ბუნებრივ-ეკონომიკურ პირობებში მყოფ კოლმეურნეობა-საბჭოთა მეურნეობებს შორის წმინდა შემოსავლის გადანაწილების შედეგად ყოველწლიურად დაახლოებით 200 მეურნეობა იუმჯობესებს ფინანსურ მდგომარეობას.

მიუხედავად ამისა, ეკონომიკური სამსახური სოფლად დღესდღეობით მაინც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს. ბევრია უყაირათობა, რომელიც უთუოდ უნდა დავძლიოთ, ბევრია არარენტაბელური და ნაკლებრენტაბელური მეურნეობები, თვით კლიმატური თვალსაზრისით ხელსაყრელ ზონებშიც კი. აქ საქმიანობის უსაზღვრო ასპარეზი გვაქვს: დროა ვისწავლოთ, ნიადაგ ვაკონტროლებდეთ, უფრო ზუსტად, კი, გავლენას ვახდენდეთ ძირითად ეკონომიკურ და ფინანსურ მაჩვენებლებზე ისე, რომ არ ველოდოთ წლის მიწურულს. ეს მით უფრო აქტუალურია, რომ რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანებების შექმნა, ამ გაერთიანებებში პირველად საგეგმო-ეკონომიკური განყოფილებების ჩამოყალიბება გულისხმობს მთელი ანალიზური მუშაობის შემდგომ გაღრმავებას.

საქკპ ცენტრალურმა კომიტეტმა თავისი დადგენილებით საქართველოს სსრ პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებს დაავალა მთელი ყურადღება დაეთმონ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ზრდის დაჩქარებას, მეცხოველეობის სტაბილურ განვითარებას, საკვები ბაზის განმტკიცებას, მთის იალაღების, სარწყავი მიწების უკეთ გამოყენებას, კოლხეთის დაბლობის ათვისების დაჩქარებას.

ამ ამოცანების გადაწყვეტის გზები საკმაოდ დაწვრილებით და ნათლად განისაზღვრა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წინა პლენუმებზე, პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებებზე. სასურსათო პროგრამის შემუშავებისა და რეალიზაციის რესპუბლიკური კომისია განიხილავს და ამტკიცებს ყველა რაიონის, აგრეთვე ზოგიერთი მეურნეობის, სამინისტროსა და უწყების სასურსათო პროგრამებს.

ამასთანავე, რამდენადმე უფრო დაწვრილებით მინდა შევეხო ცალკეულ პრობლემებს. ისეთ პირობებში, როცა ჩვენს რესპუბლიკაში დატვირთვა 100 ჰექტარ სავარგულზე გაცილებით მეტია, ვიდრე საშუალოდ ქვეყანაში, ხოლო მიწის რესურსები პრაქტიკულად ამოწურულია, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება **მოსახლეობასთან საზოგადოებრივ მეურნეობათა შემდგომ გაუმჯობესებულ კოოპერაციას.**

სხვათა შორის, ამ საკითხში თავი იჩინა ზოგიერთმა გაუგებრობამ, უთანხმოებამ. არა მგონია, აქ ორი აზრი არსებობდეს: **მოსახლეობასთან კოოპერაცია კვლავაც ყოველი ღონისძიებით უნდა განვავითაროთ და გავაღრმავოთ.** და მთავარია არა ამ მუშაობის კონკრეტული ფორმები, თუმცა აქ, რა თქმა უნდა, მეტი სისტემურობა და სიცხადე გვმართებს, არამედ ის, რომ ნამეტი პროდუქციის შესყიდვის ხელშეკრულებანი დაიდოს ყოველ, ხაზს ვუსვამ, **ყოველ კომლთან,** რათა ამ სფეროს უკეთ და უფრო გეგმაზომიერად ვმართავდეთ.

ამასთანავე, ეს სულაც არ ნიშნავს საზოგადოებრივ მეურნეობათა როლის დაკნინებას. **საზოგადოებრივი მეურნეობები იყო და არის სოფლის მეურნეობის პროდუქციის მთავარი მწარმოებელი.** თანამიმდევრულად უნდა ვილვაწოთ მათი ეფექტიანობის გადიდებისათვის. **ისინი სოფლის ეკონომიკური მექანიზმის ხერხემალს წარმოადგენენ.**

დიდ იმედებსა და მოლოდინს ვუკავშირებთ **კოლხეთის დაბლობის შემდგომ ათვისებას, მთლიანად მელიორირებული მიწების უკუგების ზრდას.** ჩვენში დიდი მასშტაბის სამელიორაციო სამუშაოები ხორციელდება კახეთისა და ქართლის ზონებში, საქართველოს სამხრეთ რაიონებში. მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ ვერ მივაღწიეთ მელიორირებულ მიწებზე სასოფლო-სამეურნეო კულტურების დაგეგმილი მოსავლიანობისათვის. დროა ბოლო მოვუღოთ შემრიგებლობას ამ ნაწილში.

მელიორატორთა წინაშე ვალში არიან რესპუბლიკის სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო ორგანიზაციები. მაგალითად, დღეს კოლხეთის დაბლობის ათვისების პრობლემაზე მუშაობს თხუთმეტამდე სხვადასხვა სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო ინსტიტუტი, საკმაოდ არის მაკოორდინირებელი ორგანიზაციებიც. მიუხედავად ამისა, კოლხეთის ათვისების ტემპი და ხარისხი მაინც ვერ არის საკმაოდ სწრაფი.

საქმე ეხება მელიორაციული მიწათმოქმედებისადმი დამოკიდებულების ძირეული გარდაქმნის აუცილებლობას. **მელიორაციული მიწათმოქმედება ინდუსტრიულ საფუძველზე უნდა დავამყაროთ, ხოლო კოლხეთი შეიძლება გახდეს და უნდა გახდეს კიდეც საქმისადმი ახალი მიდგომის ნიმუში.**

ყველა ამ საკითხს საგანგებო მნიშვნელობა ენიჭება იმასთან დაკავშირებით, რომ შემდგომ გავზარდოთ ჩაის, ხილის, ციტრუსის, ბოსტნეულისა და საადრეო კარტოფილის, სასურსათო დარგების პროდუქციის მიწოდება საერთო-საკავშირო ფონდში, ასეთი ამოცანაა დასახული სკკპ ცენტრალური კომიტეტის მორიგ გადაწყვეტილებაში. კოლხეთის დაბლობის მიწების მელიორაცია და ათვისება ერთ-ერთი მთავარი წყაროა ამ პასუხსაგები ამოცანის გადაწყვეტისა, რომელიც უშუალოდ გამომდინარეობს ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს იმ მითითებიდან, რომ საჭიროა ყოველ რესპუბლიკას **უფრო ეფექტიანი წვლილი შეჰქონდეს საბჭოთა კავშირის ეკონომიკას როგორც ერთიანი სახალხო-სამეურნეო კომპლექსის განვითარებაში.**

აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის დარგში დაყენებულმა ექსპერიმენტებმა, ამ ექსპერიმენტების მრავალსაიმედო(?) შედეგებმა შესაძლებლობა მოგვცა უფრო თამამად მოგვეკიდა ხელი მართვის სრულყოფის საქმისათვის სხვა დარგებშიც, კერძოდ მრეწველობაში, სადაც ეს პროცესი, უდავოდ, გაცილებით უფრო რთულია, ვინაიდან ჩვენ ვეჭიდებით კარგად დამკვიდრებულ, წლების მანძილზე მოგვარებულ მექანიზმში მისი მრავალდარგოვანი ურთიერთობითურთ. და მაინც, ამ მექანიზმში ბევრი რამ გასაახლებელია, რაც აღნიშნა პარტიის ცენტრალური კომიტეტის უკანასკნელ გადაწყვეტილებებში.

აქ, ისევე როგორც აგროსამრეწველო კომპლექსში, ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემად გვევლინება **დარგობრივი და ტერიტორიული საწყისების უკეთ შეხამება.** რესპუბლიკის პარტიული და საბჭოთა ორგანოები, ხელმძღვანელობენ რა სსრ კავშირის კონსტიტუციის დებულებებით, სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით „სამეურნეო მშენებლობაში სახალხო დეპუტატთა საბჭოების როლის შემდგომი ამაღლების შესახებ", შემოქმედებითად მუშაობენ წარმოების მართვაში დარგობრივი და ტერიტორიული პრინციპების რაციონალური შეხამების უზრუნველსაყოფად, — აღნიშნულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში საქართველოს თაობაზე.

სწორედ ამას ეძღვნება ახლა უკვე კარგად ცნობილი სიახლენი ფოთისა და თბილისის საქარხნო რაიონში, სადაც, როგორც სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაშია ნათქვამი, ხორციელდება **სახალხო დეპუტატთა საბჭოების მაორგანიზებელი და მაკოორდინირებელი ფუნქციების გაძლიერების კონკრეტული ფორმების ექსპერიმენტული ძიება.** საბჭოების აღმასკომებთან და მათ საგეგმო ორგანოებთან შექმნილია დარგთშორისი ქვეგანაყოფები, რომლებსაც მინიჭებული აქვთ სამეურნეო მართვის რეგიონული ორგანოების უფლებები.

ფოთის ექსპერიმენტი ორი წელიწადია გრძელდება, და მან უკვე საკმაოდ დამაჯერებლად ცხადყო ახლებური მიდგომის ყველა უპირატესობა. რას წარმოადგენს საქალაქო აღმასკომთან შექმნილი ტერიტორიული დარგთშორისი გაერთიანება? იქნებ, ეს კიდევ ერთი დამატებითი მმართველობითი რგოლია, რომელსაც სახელმწიფო ინახავს? არა, უწინარეს ყოვლისა, ეს არის **სამეურნეოანგარიშიანი ორგანო,** რომლის მეშვეობითაც სახალხო დეპუტატთა საბჭოს შეუძლია ეფექტიანად ახდენდეს გავლენას ქალაქის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე.

გაერთიანების არსებობის ძირითადი წყარო გახდა ეგრეთ წოდებული „დამატებითი ეფექტი". ქალაქის ბიუჯეტში გაჩნდა ახალი მუხლი, რომელიც შეიქმნა გაერთიანებაში შემავალი საწარმოების მოგების ზეგეგმითი თავისუფალი ნაშთის 50-პროცენტიანი ანარიცხებისა და გეგმით ნაშთის 10-პროცენტიანი ანარიცხების ხარჯზე. ამრიგად, გაერთიანება უშუალოდ არის დაინტერესებული იმით, რომ ყველა ორგანიზაცია იღებდეს დამატებით მოგებას. მაგრამ ამითვე არიან დაინტერესებულნი თვით საწარმოებიც, უწყება-სამინისტროებიც, რომლებშიც ისინი შედიან, მთლიანად სახელმწიფო. ასე უზრუნველყოფენ ინტერესების ერთიანობას, თანამშრომლობის ყოველმხრივ ხელსაყრელ საფუძველს.

შარშან ზეგეგმითი მოგების ანარიცხების თანხამ გათვალისწინებული 65 ათასის ნაცვლად შეადგინა 230 ათასი მანეთი. ზეგეგმითი ანარიცხები საკავშირო ბიუჯეტში გამოიხატა 3 მილიონ 200 ათასი მანეთი თანხით, არადა, ეს ხომ არც ისე დიდი ქალაქია. ადგილობრივ ბიუჯეტში დაგეგმილი 158 ათასის ნაცვლად ჩაირიცხა 167 ათასი მანეთი.

ამავე დროს მკვეთრად ამაღლდა ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლები. და ეს არც არის გასაკვირი. როგორც ცნობილია, დამატებითი მოგების მიღება ხომ შეიძლება მუშაობის რაოდენობრივი და თვისებრივი მაჩვენებლების არსებითი გაუმჯობესების შედეგად. ამიტომ აქ უმთავრესად არის მიწვეული ზრუნვა შრომის ნაყოფიერების ყოველი ღონისძიებით ზრდის, თვითღირებულების შემცირების, დანახარჯების, უნაყოფო დანაკარგების შეკვეცისათვის. გაერთიანება იბრძვის წარმოების მოცულობის გეგმაზომიერი გადიდებისათვის, ამავე დროს ამცირებს ყოველგვარ დანახარჯებს, ნიადაგ აღევნებს თვალყურს სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის 100-ზე მეტ სხვადასხვა პარამეტრს.

სამეურნეო ინიციატივის, შემოქმედების განვითარება ეკონომიკური რეგიონების, გაერთიანებების, საწარმოების დონეზე ამხანაგმა კ. უ. ჩერნენკომ **ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საერთო-სახელმწიფოებრივ ამოცანად** განსაზღვრა. შემთხვევითი როდი იყო, რომ სწორედ ფოთელებმა თბილისელებთან ერთად რესპუბლიკაში პირველებმა და ქვეყანაში პირველთა შორის გამოიჩინეს ინიციატივა გაეჩაღებინათ მოძრაობა შრომის ნაყოფიერების ზეგეგმითი ზრდისა და პროდუქციის თვითღირებულების დამატებითი შემცირებისათვის.

1983 წლის მუშაობის შედეგების მიხედვით გაერთიანებამ ეკონომიკური სტიმულირების ცენტრალიზებულ ფონდებში გადარიცხა 289 ათასი მანეთი. საქალაქო აღმასკომი ამ სახსრებს ახმარს საწარმოო ბაზის გაფართოებას, მუშა-მოსამსახურეთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას, ქალაქის სოციალურ-კულტურულ საჭიროებებს.

ფოთის ექსპერიმენტის უდიდეს შესაძლებლობებს მოწმობს თუნდაც ის, რომ აქ რეალურად ხორციელდება ფოთის უნარჩენო წარმოების ქალაქად გადაქცევის იდეა. გაერთიანებაში კონცენტრირებულია საავტომობილო და რკინიგზის ტრანსპორტის მუშაობის ოპტიმალური რეგულირების საკითხთა გადაწყვეტა. ორგანიზებულია საწარმოთა სტაბილური მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება. ახალ სახეობათა პროდუქციის, მათ შორის სახალხო მოხმარების საქონლის ათვისების დაჩქარების მიზნით დაწყებულია მუშაობა დარგთშორისი ქარხნის ასაშენებლად, რომელიც გამოუშვებს ტექნოლოგიურ აღჭურვილობას ყველა საწარმოსათვის მათი უწყებრივი კუთვნილების მიუხედავად. ჩხოროწყუს რაიონულ აგროსამრეწველო გაერთიანებასთან წილობრივი საწყისებით აყალიბებენ ადგილობრივი ნედლეულის აგურის წარმოებას.

დიდი მუშაობა მიმდინარეობს, რათა საწარმოთა დამხმარე მეურნეობებმა გაადიდონ პროდუქციის წარმოება სასურსათო საქონლით მოსახლეობის საჭიროებათა მაქსიმალური დაკმაყოფილების მიზნით. გაუმჯობესდა საზოგადოებრივი ტრანსპორტის მართვა. ინერგება მთელი მოსახლეობის ყოველწლიური დისპანსერიზაცია და ა. შ.

სამეურნეო ანგარიშის ელემენტები იგრძნობა ქალაქ თბილისის საქარხნო რაიაღმასკომთან არსებული ტერიტორიულ-დარგთშორისი სამმართველოს საქმიანობაშიც, კერძოდ, მაგალითად, წარმოების ნარჩენებისაგან სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვების ორგანიზაციაში, სადაც გაერთიანება კომერციულ შუამავლად გვევლინება. შარშან ამის მეოხებით მიღებულია რაიონისათვის მნიშვნელოვანი მოგება. სამმართველო შუამავლობას კისრულობს აგრეთვე გამოსაღებელ სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა გადანაწილებისა და რეალიზაციის დროსაც, რისთვისაც გარკვეული ანარიცხები აქვს.

ჩვენი აზრით, ეკონომიკის განვითარებისადმი პარტიული და სამეურნეო ხელმძღვანელობის ეფექტიანი სისტემა ყალიბდება მთლიანად თბილისში. დედაქალაქში შექმნილმა ტერიტორიული მართვის დარგთშორისმა მექანიზმმა შესაძლებლობა მოგვცა უფრო სრულად გამოგვეყენებინა მეურნეობრიობის ინტენსიური მეთოდები. მიმდინარე წლის ორი თვის შედეგების მიხედვით შრომის ნაყოფიერების ფაქტობრივმა ზრდამ მრეწველობაში ორი პროცენტით გადააჭარბა დაგეგმილ დონეს. თვითღირებულება კი დამატებით 0,7 პროცენტით შემცირდა.

ერთი სიტყვით, ახალი ტიპის — ტერიტორიულ-დარგთშორისი ეკონომიკური ურთიერთობის დამკვიდრება შესაძლებლობას გვაძლევს კომპლექსურად გადავწყვიტოთ ეკონომიკური და სოციალური საკითხები, გავზარდოთ მართვის ადგილობრივი ორგანოების დაინტერესება საერთო-სახელმწიფოებრივი ინტერესების დაცვით, უკეთ შევუხამოთ ისინი ადგილობრივ ინტერესებს, დავძლიოთ უწყებრიობისა და კუთხურობის ელემენტები.

რა თქმა უნდა, ჩვენ სულაც არა გვგონია, თითქოს მთელი ეს მექანიზმი სრულყოფილად იყოს დახვეწილი. საჭიროა იგი გეგმაზომიერად განვავითაროთ, კიდევ უფრო გავაუმჯობესოთ. ამასთან, ჩვენ არაერთგზის გვითქვამს, რომ **ყოველგვარი ეკონომიკური ექსპერიმენტი საერთო-სახელმწიფოებრივი, სოციალურ-პოლიტიკური მნიშვნელობის საქმეა და აჩქარება, ზერელობა მის განხორციელება-გავრცელებაში ყოვლად შეუწყნარებელია.**

ამასთანავე ჩვენ მიგვაჩნია, რომ ფოთის ცდა უკვე გამოცდილებად იქცა და მიაღწია იმ სტადიას, **როცა მისი გამოყენება რესპუბლიკის სხვა ქალაქებშიც შეიძლება.** სულ ახლახან ცენტრალურმა კომიტეტმა და მინისტრთა საბჭომ ჩამოაყალიბეს რესპუბლიკაში სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის, ეკონომიკური ექსპერიმენტების მომზადებისა და მოწყობის ხელმძღვანელობის სპეციალური კომისია, ჩვენ მოველით, რომ ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოები, ეკონომისტი მეცნიერები, სახალხო მეურნეობის სპეციალისტები აქტიურად ჩაებმებიან მართვის ახალი პროგრესული ფორმების დანერგვის საქმეში.

ახლა დღის წესრიგში გადაჭრით დგება ის საკითხი, რომ **კიდევ უფრო განვავითაროთ ყველა ჩვენი წამოწყება,** გავაფართოოთ მათი მასშტაბი, გავზარდოთ მათი უკუგება. ახლა გვმართებს მტკიცედ შევიარაღდეთ ლოზუნგით, რომელიც ამხანაგმა კ. უ. ჩერნენკომ წამოაყენა: **სწორი აზრიდან, გამოცდილებით ყოველმხრივ შეიარაღებულნი — გადავიდეთ გაბედულ მოქმედებაზე!**

რა სახეს იღებს კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკოს ეს მოთხოვნა ჩვენი რესპუბლიკის პირობებში?

უწინარეს ყოვლისა, უაღრესად პრინციპული მნიშვნელობა აქვს იმ ფაქტს, რომ სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დაავალა ეკონომიკური ექსპერიმენტების განხორციელებისას წარმართონ მეცადინეობა, რათა **სსრ კავშირის უწყება-სამინისტროების აქტიური მონაწილეობით კიდევ უფრო დახვეწონ მართვის დარგობრივი და ტერიტორიული ორგანოების თანამოქმედების ფორმები. ეს ფრიად მნიშვნელოვანი მითითებაა.**

ერთ-ერთი ასეთი აპრობირებული ფორმა გახლავთ **საკავშირო სამინისტროებისა და რესპუბლიკის ხელმძღვანელი ორგანოების ორმხრივი ღონისძიებები** ამა თუ იმ დარგისა და საკავშირო დაქვემდებარების საწარმოთა განვითარების დიდმნიშვნელოვანი პრობლემების და ამოცანების გადაწყვეტისას, როცა თითოეული მხარე კისრულობს კონკრეტულ ვალდებულებებს და ზუსტად განსაზღვრავს მათი შესრულების ვადებს. ბევრი ჩვენი სამინისტრო და უწყება, მსხვილი სამეურნეო ქვეგანაყოფი მარჯვედ იყენებს მუშაობის ამ ფორმას.

მეორე მხრივ, ყველაზე სასიკეთო შესაძლებლობებს გვისახავს **ტერიტორიული და დარგობრივი ექსპერიმენტების შეხამება.** ეს, ჩვენი შეხედულებით, ასევე პრინციპულად ახლებური და აქტუალური მიდგომაა, რომელიც ცენტრალიზმის ლენინისეულ განმარტებას შეესაბამება. „ცენტრალიზმი, ნამდვილად დემოკრატიული აზრით გაგებული, — წერდა ვ. ი. ლენინი, — გულისხმობს ისტორიის მიერ პირველად შექმნილ შესაძლებლ-

[illegible]

კომიტეტის მდივნები, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები, ანალოგიური რგოლები შეიქმნა სამინისტროებსა და უწყებებში, ქალაქებსა და რაიონებში. ახლა უკეთ ფუნქციონირებენ ამ სისტემის სამუშაო ორგანოები — მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტი, რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის შესაბამისი ქვეგანაყოფები, გამოიკვეთა ახალი მიდგომა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის, უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს საქმიანობაში. ახლა უფრო მიზანმიმართულად და ქმედითად მუშაობენ.

(გაგრძელება მე-4 გვ.).

სწორი აზრიდან, გამოცდილებით ყოველმხრივ შეიარაღებულნი — გადავიდეთ გაბედულ მოქმედებაზე!

(გაგრძელება)

ავიღოთ, მაგალითად, აგროსამრეწველო კომპლექსი. საბჭოთა კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ამიერკავკასიის განყოფილებას დაქვემდებარა რესპუბლიკის ყველა სასოფლო-სამეურნეო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი თავიანთი ექსპერიმენტული ბაზებითა და მეურნეობებით. ეს ხომ მთელი დარგობრივი აკადემიაა!

მეცნიერების მიღწევათა და მოწინავე გამოცდილების დანერგვის სპეციალური ქვეგანაყოფები ყალიბდება რაიონულ აგროსამრეწველო გაერთიანებაში, რომელიც ადასტურებს თავის სიცოცხლისუნარიანობას. თვალსაჩინო მაგალითად გამოდგება გარდაბნის რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანება, სადაც პირველად შეიქმნა მეცნიერების მიღწევათა და მოწინავე გამოცდილების დანერგვის განყოფილება. ახლა ეს რაიონი გამოცხადებულია მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა დანერგვის პოლიგონად. ბოლო სამი-ოთხი წლის მანძილზე აქ 100-ზე მეტი მეცნიერული ნამუშევარი დაინერგა. ანალოგიური ღონისძიებები ხორციელდება აბაშის, ხობის, დმანისის, გორის, მახარაძის, თელავის, ზუგდიდისა და სხვა რაიონებში.

უფრო მართვადი ხდება მედიცინის მეცნიერებაც, სადაც აგრეთვე არსებული რგოლების ბაზაზე ჩამოყალიბდა ქმედითი მმართველობითი სისტემა.

რესპუბლიკაში შექმნილი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ხელმძღვანელობის სისტემის დიდ ეფექტიანობას უზრუნველყოფს ის სიახლეებიც, რომლებიც შეეხო **წარმოებასთან თვით მეცნიერების** ურთიერთობის მექანიზმს. შემუშავდა დებულება სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების, საწარმოებისა და მეურნეობების პარტნიორობის შესახებ, რომელიც ითვალისწინებს, რომ დანერგვის პროცესის ყველა მონაწილე უფრო მეტად იყოს დაინტერესებული საბოლოო შედეგის უსწრაფესი მიღწევით. რესპუბლიკის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს სისტემაში მოწმდება სამეურნეო სახელშეკრულებო სამუშაოების შესრულებისას მატერიალური წახალისების ახალი ფორმები, რომლებიც უფრო ინიციატივიანად უნდა განვავითაროთ.

ამ და სხვა სიახლეთა მეოხებით არსებითად მატულობს რესპუბლიკაში შექმნილი სამეცნიერო პოტენციალის უკუგება. მრეწველობაში ახალი ტექნიკის ღონისძიებათა დანერგვისაგან მიღებული წლიური ეკონომიკური ეფექტი 1972 წელთან შედარებით ოთხჯერ და მეტად გაიზარდა. შექმნილი სისტემის, საორგანიზაციო სტრუქტურის მეოხებით მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი რესპუბლიკაში ნამდვილად ხდება პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო და სხვა ორგანოების მეცადინეობის კონცენტრაციის წამყვანი მიმართულება, რაც მეცნიერებას სწორედ უშუალო საწარმოო ძალად აქცევს.

რა თქმა უნდა, ყველგან და ყველაფერში როდი გვაქვს სრული სიცხადე. მაგალითად, VI პლენუმზე ჩვენ მოვიფიქრეთ ცალკეულ დარგობრივ კომპლექსებში ახალი ტექნიკის დანერგვის პროგრამა საშუალო საკავშირო მაჩვენებლების მიღწევის მიზნით. მაგრამ იმას, თუ როგორ ხორციელდება დასახული ღონისძიებანი და საბოლოო ანგარიშით რას გვაძლევს ისინი, არავინ ღრმად და საგნობრივად არ სწვდება. დროა ტექნიკური და ეკონომიკური გამოანგარიშება მჭიდროდ დავუკავშიროთ ცოცხალ პრაქტიკას.

ამასთან დაკავშირებით საჭიროა კვლავ გავიხსენოთ **მეცნიერებატევადობის** მაჩვენებელი, რომელიც მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს ამა თუ იმ დარგის განვითარების ტემპს. ბოლო 2-3 წლის მანძილზე რესპუბლიკაში იგი საგრძნობლად იზრდება, თუ გავითვალისწინებთ მეცნიერებისა და სამეცნიერო მომსახურების სფეროს მუშაკების შრომითი დანახარჯების შეფარდებას მატერიალური წარმოების ყველა მუშაკის შრომით დანახარჯებთან.

მიუხედავად ამისა, მთლიანად მეცნიერებატევადობის დონე ჩვენში ჯერჯერობით სრულად არ შეესაბამება ინტენსიფიკაციის თანამედროვე ამოცანებს. ამასვე მოწმობს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ჯერ კიდევ არასაკმარისი ტემპი და მასშტაბი, დიდი რაოდენობის ტექნიკურად მოძველებული მოწყობილობისა და ტექნოლოგიის არსებობა, სხვა ფაქტორები.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მართვის შემდგომი სრულყოფისათვის, ვფიქრობთ, საჭიროა **უფრო ენერგიულად გამოვიყენოთ მეცნიერებატევადობის მაჩვენებლები მეურნეობრიობის ყველა დონეზე.** ჩვენ ველით, რომ ამის შესახებ კონკრეტულ წინადადებებს წამოაყენებენ რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი, სახმშენი, ფინანსთა სამინისტრო, ფასების სახელმწიფო კომიტეტი, მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტი, მეცნიერებათა აკადემია, ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო, უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო.

დიდ მნიშვნელობას იძენს **თვით სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ინტენსიურობის** მაჩვენებლები. ეს მით უფრო აქტუალურია, რომ ამჟამად მეცნიერულ გამოკვლევაზე დახარჯული თითოეული მანეთის უკუგება ჩვენში უფრო მცირეა, ვიდრე ბევრ სხვა მოკავშირე რესპუბლიკაში. არ შეიძლება არ გვაწუხებდეს ის გარემოებაც, რომ ყოველწლიურად რესპუბლიკა ითვისებს გამოგონებლობისა და რაციონალიზაციის განვითარებისათვის ასიგნებული სახსრების ნახევარზე ნაკლებს. ამის შედეგად ვერ ვიყენებთ გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა დაახლოებით ორ მესამედს. დროა ბოლო მოვუღოთ ჩვენი მშრომელების შემოქმედებითი პოტენციალის ასეთ განიავებას!

ამრიგად, **ჩვენი სამეცნიერო ორგანიზაციების მუშაობის ეფექტიანობის ამაღლების პრობლემა ჯერ კიდევ მწვავედ დგას.** ჩვენთვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ზუსტად ვიცოდეთ, როგორ გამოიყენება რესპუბლიკის სოლიდური სამეცნიერო პოტენციალი, უკეთ ვმართავდეთ მას. ყველა ეს მომენტი უნდა გავითვალისწინოთ ჩვენი სამმართველო სიახლეების შემდგომ განვითარებაში.

მეორე მხრივ, **ჩვენი მეცნიერება, ბევრად უკეთ და უფრო ეფექტიანად უნდა ახდენდეს გავლენას სამეურნეო მექანიზმის სტრუქტურაზე, უშუალოდ უწყობდეს ხელს მის განახლებას.** ეს საზოგადოებრივ მეცნიერებათა და უწინარეს ყოვლისა ეკონომიკის მეცნიერების ამოცანაა, რომლებსაც საქართველოს შესახებ პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება სერიოზულ მოთხოვნებს უყენებს.

ზოგი რამ ამ მხრივ, რა თქმა უნდა, კეთდება. გაჩნდა ა. ლ. გუნიას, ქ. ნ. ჩარკვიანის, იმ მეცნიერთა საინტერესო ნაშრომები, რომლებიც მუშაობენ სოფლის მეურნეობისა და აგროსამრეწველო კომპლექსის ეკონომიკის დარგში. მაგრამ სოლიდური, განზოგადებული რეკომენდაციები ჯერჯერობით არა გვაქვს. პირდაპირ ვთქვათ, ამხანაგებს ჯერ კიდევ უშუალოდ არ მოჰკიდებიათ ხელი ეკონომიკის პრობლემებისათვის. არადა, ისინი მარტო ეკონომისტებს კი არა, ყველა მეცნიერ-საზოგადოებათმცოდნე-ისტორიკოსს, ფსიქოლოგს, ფილოსოფოსს და სხვა დარგების სპეციალისტებს ეხება. თანაც, როგორ შეიძლება სერიოზულად ვმუშაობდეთ საზოგადოებათმცოდნეობის — საზოგადოების განვითარების უმნიშვნელოვანეს კანონზომიერებათა მეცნიერების დარგში — თუ სრულყოფილად და ღრმად არ ვმართავთ თანამედროვე საზოგადოებრივ-ეკონომიკურ პროცესებსა და ტენდენციებს? პარტიულმა, საბჭოთა, სამეურნეო კადრებმა მეცნიერ-საზოგადოებათმცოდნეთა ნაშრომებსა და პუბლიკაციებში უნდა იპოვონ პასუხი რესპუბლიკის საზოგადოებრივ-ეკონომიკური განვითარების ყველაზე აქტუალურ საკითხებზე, ჩასწვდნენ ყოველივე ახალს, რაც ჩნდება თეორიასა და პრაქტიკაში.

ეკონომიკის მეცნიერებამ ძალთა შემოქმედებითი გამოყენების ფართო ასპარეზი შეიძლება იპოვოს ეკონომიკისა და სოციალური ცხოვრების მართვის ფორმებისა და მეთოდების სრულყოფის დარგში. აქ ჩვენ არსებითად ჩამოვაყალიბეთ სამი ძირითადი მიმართულება — დარგობრივი, რეგიონალურ-ტერიტორიული და პროგრამულ-მიზნობრივი. **ეკონომიკის მეცნიერების უპირველესი პრაქტიკული ამოცანაა იპოვოს მათი შემდგომი განვითარებისა და ოპტიმალური შეხამების მიზანშეწონილი, რაციონალური გზები.** პრაქტიკა ხშირად ამას გუმანით, ცდებისა და უარყოფის გზით აღწევს, რაც იწვევს დამატებით საზოგადოებრივ დანახარჯებს, რომელთა თავიდან აცილება შესაძლებელი იქნებოდა, ეკონომიკის მეცნიერება რომ სავსებით საფუძვლიანად ამუშავებდეს მართვისა და დაგეგმვის პრობლემებს.

ზოგჯერ ჩვენი ექსპერიმენტები სტიქიურად იწყება, მოკლებულია ჯეროვან დასაბუთებასა და საჭირო ეკონომიკურ გაანგარიშებებს, სამეცნიერო დაწესებულებანი კი ამ საკითხებს განზე უდგანან, მათ შორის **სახალხო მეურნეობის მართვის ინსტიტუტიც.** მართვის სრულყოფის პრობლემები მთელი მისი საქმიანობის ყურადღების ცენტრში უნდა იყოს, მაგრამ ეს ყოველთვის ასე არ არის.

მართვის ინსტიტუტი აქტიურად უნდა ჩაებას რესპუბლიკისათვის საჭირბოროტო ამოცანათა გადაწყვეტაში და სასწავლო-საგანმანათლებლო დაწესებულებიდან რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის შესაბამის ქვეგანაყოფებთან ერთად გადაიქცეს **სამეურნეო მექანიზმის სრულყოფისადმი, ეკონომიკური ექსპერიმენტების მომზადებისა და მოწყობისადმი ხელმძღვანელობის ახლახან შექმნილი რესპუბლიკური კომისიის ქმედით სამუშაო ორგანოდ.** მომწიფდა საჭიროება, ინსტიტუტთან რესპუბლიკაში არსებული შტატების ბაზაზე შეიქმნას სპეციალური სამეცნიერო-მეთოდოლოგიური ქვეგანაყოფი. ეს საკითხი არსებითად უკვე გადაწყდა.

ჩვენ გვჭირდება მართვის პრობლემათა კვალიფიციური სპეციალისტები, თავიანთი საქმის პროფესიონალები. პარტიული მუშაკები ხომ ვერ გასწვდებიან ყველა პრობლემის გადაწყვეტას. იმედი გვაქვს, რომ ჩვენი კარგი თანაშემწენი და მრჩევლები გახდებიან სახალხო მეურნეობის მართვის ინსტიტუტის, სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული სახალხო მეურნეობის ეკონომიკის, დაგეგმვისა და მართვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის, სოფლის მეურნეობის ეკონომიკა-ორგანიზაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის და სხვა დაწესებულებების სპეციალისტები.

მიმდინარე პროცესების თეორიული გააზრება, მომწიფებული სოციალიზმის საწარმოო ურთიერთობის შემდგომი სრულყოფის პროგნოზირება და განზოგადება, კონკრეტული პრაქტიკული რეკომენდაციების შემუშავება საზოგადოებრივ მეცნიერებათა უპირველესი ამოცანაა.

ყოველივე ეს მით უფრო აქტუალურია, რომ ახლა რესპუბლიკაში დაახლოებით 30 სხვადასხვა ეკონომიკური ექსპერიმენტი ხორციელდება. ბევრი ხომ არ არის? შეიძლება იკითხოს ზოგიერთმა სკეპტიკოსმა. მაგრამ ერთი მიმართულებით ძიება ხომ უცილობლად ჩვენი საქმიანობის სხვა უბნებზეც წამოჭრის საკითხებს, რომლებსაც პასუხი უნდა გავცეთ.

უდავოდ, ეს პასუხი ყოველთვის დადებითი არ არის ხოლმე. ზოგჯერ ვრწმუნდებით, რომ მცდარი გზა ავირჩიეთ. მაგრამ ამასაც ხომ დიდი მნიშვნელობა აქვს, ესეც ხომ გამოცდილებაა. გარდა ამისა, ყოველგვარი შემოქმედება სასარგებლოა, კვალს ტოვებს ჩვენი კადრების აზროვნებაში. მაგალითად, 1974 წელს გადავწყვიტეთ ექსპერიმენტის სახით რესპუბლიკის სასოფლო მშენებლობის სამინისტროს შემადგენლობაში შეგვეყვანა საკოლმეურნეობათაშორისო საშენებლო ორგანიზაციათა გაერთიანება. ამას წინათ კი მიზანშეწონილად ვცანით ძველ სქემას დავბრუნებოდით. სად არის აქ კრიმინალი?

უფრო მეტიც, სახელმწიფო და საკოლმეურნეობათაშორისო საშენებლო ორგანიზაციების რვა წლის ერთობლივ მუშაობას დადებითი შედეგი მოჰყვა. მნიშვნელოვნად გაიზარდა და განმტკიცდა „საქკოლმშენის" ბაზა, რის შედეგადაც შესრულებული სამუშაოების მოცულობა 160 პროცენტით გაიზარდა. ბევრად უფრო ეფექტიანი გახდა საკოლმეურნეობათაშორისო მშენებელთა შრომა, რომლის ნაყოფიერება ამავე პერიოდში თითქმის ორჯერ გაიზარდა. მაგრამ შეიცვალა პირობები, ყველგან შეიქმნა რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანებანი, და ექსპერიმენტმა ამოწურა თავისი შესაძლებლობანი, გარკვეულ დაბრკოლებად იქცა. ამის გამო დავეთანხმეთ რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის ხელმძღვანელობის წინადადებას მის განმგებლობაში საკოლმეურნეობათაშორისო ორგანიზაციების გადაცემის შესახებ.

მთავარია შევიგნოთ, რომ **ექსპერიმენტები, რომლებიც რესპუბლიკაში ეწყობა, თვითმიზანი არ არის.** სიახლის ძიება მაშინ იწყება, როცა ჩნდება ამის მწვავე საჭიროება. კაცმა რომ თქვას, სწორედ ეს არის დიალექტიკური განვითარების უმნიშვნელოვანესი კანონი, **რადგან ახალი შეიძლება შევიცნოთ მხოლოდ ძველთან შედარებით.**

ამავე დროს არ შეიძლება არ ვუსაყვედუროთ მეტწილ ჩვენს სამინისტროებსა და უწყებებს, მათ ხელმძღვანელებს ცალკეული საგულისხმო წინადადებებისადმი, გამოკვლევებისა და ნამუშევრებისადმი უყურადღებობისათვის. მათ შორის ხომ ისეთებიც გვხვდება, რომელთა პრაქტიკული გამოყენება შეიძლება და სავსებით ეფექტიანადაც. მაგრამ მეტ წილ შემთხვევებში მათ არავინ იყენებს, ელიან ცენტრალური კომიტეტის, მისი განყოფილებების, რესპუბლიკის მთავრობის ჩარევას. საკითხავია, რატომ? იმიტომ, რომ სამინისტროების, უწყებების, სხვა სამეურნეო ორგანოების შესაბამისი ქვეგანაყოფები არ ავლენენ ჯეროვან დაინტერესებას, ჩაეფლნენ ყოველდღიურ საქმეებში, როგორც ჩანს, ზოგიერთ რამეში ჯერ კიდევ სერიოზული ხარვეზები გვაქვს.

ჩვენში არსებითად სრულიად განუვითარებელია წარმოებასთან ეკონომიკური მეცნიერების თანამშრომლობის ისეთი ფორმა, როგორიც არის **პრობლემების შემუშავება სამეურნეო ორგანოების შეკვეთით.** ეს განსაკუთრებით მწვავედ იგრძნობა ცხოვრებასთან უმაღლეს სასწავლებელთა მეცნიერების ურთიერთობაში. ასეთი მუშაობა კი სოლიდურ რელსებზე შეიძლება დავაყენოთ, თუ, მაგალითად, რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი და უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო იკისრებენ მეცნიერებისა და წარმოებას შორის შუამავლის როლს.

მოკლედ, ეკონომიკურ გამოკვლევებს შეეძლიათ და კიდეც უნდა მოჰქონდეთ რეალური სარგებლობა სახალხო მეურნეობისათვის. მათ უნდა განაზოგადონ პრაქტიკულად შეძენილი გამოცდილება, გამოიმუშაონ სამეურნეო მექანიზმის, ეკონომიკის მართვის ფორმებისა და მეთოდების შემდგომი სრულყოფის, საზოგადოების განვითარების პროცესში წარმოშობილი დისპროპორციების აღმოფხვრის კონკრეტული ღონისძიებანი.

როცა მომწიფებული სოციალიზმის ეკონომიკური მექანიზმის განვითარების შემდგომ ტენდენციებზე, მიმართულებებზე ვლაპარაკობთ, აუცილებლად ვგულისხმობთ **ეკონომიკისადმი პარტიული ხელმძღვანელობის სტილის, მთლიანად პარტიული მუშაობის სტილის თანამიმდევრულ გაუმჯობესებას.**

ძლიერი, პროგრესული სამეურნეო მექანიზმის გარეშე არ არსებობს მუშაობის ნამდვილად მეცნიერული სტილი. ხოლო, მეორე მხრივ, მეურნეობრიობის მოწინავე, რაციონალური მექანიზმის შექმნა შესაძლებელია მხოლოდ პარტიული ხელმძღვანელობის შემოქმედებითი, ნამდვილად ლენინური სტილის პირობებში. აი ასეთი დიალექტიკური ურთიერთკავშირია ამ საქმეში.

აი რა კურსით უნდა განვიხილოთ აგრეთვე სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1984 წლის თებერვლის პლენუმზე ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს მიერ ჩამოყალიბებული მითითება **პარტიული კომიტეტების ფუნქციებისა და სახელმწიფო და სამეურნეო ამოცანების მკაფიო გამიჯვნის შესახებ.** ექსპერიმენტების განხორციელების, სამეურნეო საქმიანობისადმი ხელმძღვანელობის სტილის სრულყოფის კვალობაზე რესპუბლიკის ცენტრალურ და ადგილობრივ პარტიულ ორგანოებს სულ უფრო მეტი შესაძლებლობანი ექნებათ სწორედ **პოლიტიკური საქმიანობისათვის, პერსპექტიული პრობლემების, საკადრო საკითხების გადაჭრისათვის.** ყოველივე ამას გარკვეულწილად ცხადყოფს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროსა და სამდივნოს მუშაობის სტილის მაგალითიც, რომლებიც უკანასკნელი წლის მანძილზე მნიშვნელოვნად გავათავისუფლეთ მიმდინარე სამეურნეო საკითხებისაგან, შეგვემცირებინა დადგენილებათა რაოდენობა, შეგვემოკლებინა სხდომების ხანგრძლივობა. პარტიული კომიტეტი ვალდებულია ჩასწვდეს საქმის არსს, მაგრამ ამასთან მას უნდა ეთმობოდეს უწინარეს ყოვლისა, პოლიტიკური ორგანიზატორის, მკაცრი და მომთხოვნი საკონტროლო ორგანოს როლი.

რა თქმა უნდა, აჩქარებას აქაც შეიძლება საშიში შედეგი მოჰყვეს: **ფუნქციების გამიჯვნა თანამიმდევრული, თანდათანობითი პროცესია,** რომელიც შესაბამისი წანამძღვრების შექმნას მოითხოვს. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ჩვენი პარტია მმართველი პარტიაა და პარტიულ ორგანოებს პასუხისმგებლობა აკისრიათ ყველა საკითხისა და პრობლემისათვის; **არ გასწიონ სამეურნეო ხელმძღვანელების მაგივრობა, იმუშაონ კომუნისტთა მეშვეობით საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებში — ეს პარტიულ კომიტეტებს შეუძლიათ მხოლოდ იმ პირობით, თუ შექმნიან ძლიერ, პროგრესულ და დამოუკიდებელ სამეურნეო მექანიზმს.** უამისოდ ვერ აღმოვფხვრით ჩარევას, მეურვეობას და სხვა ნაკლოვანებებს, რომლებიც დაგმო ჩვენმა პარტიამ.

მუშაობის ლენინური სტილის საფუძველზე ვაღწევდეთ სამეურნეო მექანიზმის სრულყოფას, რომელიც თავის მხრივ ქმნის საზოგადოებაში პარტიული ხელმძღვანელობის დონის შემდგომი ამაღლების საუკეთესო გარანტიას და შესაძლებლობებს — ეს არის მომწიფებული, განვითარებული სოციალიზმის პირობებში პარტიის ხელმძღვანელი როლის ამაღლების ვრცელი დიალექტიკური ფორმულა.

III. სრულვყოფდეთ მუშაობის სტილს — ნიშნავს სრულვყოფდეთ თვით ადამიანებს

როგორც ხედავთ, ამხანაგებო, წინ გველის დიდი მუშაობა, გადასაწყვეტი გვაქვს რთული, პასუხსაგები ამოცანები. ეს ამოცანები ადამიანებმა, ჩვენმა კადრებმა უნდა გადაწყვიტონ.

და თუ განვითარებული სოციალიზმის—საზოგადოებრივი განვითარების თანამედროვე ეტაპის — სრულყოფას მივიჩნევთ მუშაობის ფორმებისა და მეთოდების და, მაშასადამე, მთელი ჩვენი საქმიანობის სტილის სრულყოფის ამოცანად, მაშინ მთელი ამ პროცესის საბოლოო შედეგი უნდა გახდეს თვით ადამიანების სრულყოფა, რადგან სწორედ ისინი შეადგენენ საზოგადოებას, სტილი კი — ეს, როგორც ცნობილია, ადამიანია.

მაშასადამე მთავარია ადამიანების აღზრდა, მათი პოლიტიკური წრთობა, მათი საქმიანი თვისებების განვითარება.

ვაშენებდეთ სოციალიზმს, სრულვყოფდეთ მას, თქვა ამხანაგმა კ. უ. ჩერნენკომ, ნიშნავს ვეწეოდეთ დიდ მუშაობას ადამიანების სულიერი განვითარებისათვის, მათი სოციალისტური აღზრდისათვის.

ამგვარად, უწინარეს ყოვლისა უნდა სრულვყოფდეთ პარტიულ მუშაობას, ვამაღლებდეთ პარტიული ხელმძღვანელობის დონეს, ხოლო საზოგადოებაში პარტიული ხელმძღვანელობის წარმატებები დღეს უფრო, ვიდრე ოდესმე, თავის მხრივ დამოკიდებულია **იდეოლოგიური, ორგანიზატორული და სამეურნეო მუშაობის ერთიანობის** ლენინური პრინციპების თანამიმდევრულ დაცვაზე.

ამ სტილის სამი კომპონენტის ასეთი ურღვევი ერთიანობა უწინარეს ყოვლისა **პირველად პარტიულ ორგანიზაციებში, შრომით კოლექტივებში** უნდა ხორციელდებოდეს. ამიტომ ამ ეტაპზე მიგვაჩნია, რომ უაღრესად საჭიროა მთელი ჩვენი მუშაობის სიმძიმის ცენტრი გადავიტანოთ სწორედ იქ, სადაც წყდება სახალხო-სამეურნეო გეგმების ბედი, ადამიანის იდეურ-ზნეობრივი ჩამოყალიბების ამოცანები, და ბოლოს იქ, სადაც კონკრეტულად უნდა სრულდებოდეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ახალი დადგენილება.

უზრუნველვყოთ იდეოლოგიური, ორგანიზატორული და სამეურნეო მუშაობის ერთიანობა — ეს პირველადი პარტიული ორგანიზაციისათვის უწინარეს ყოვლისა ნიშნავს კვლავაც ყოველმხრივ დაუჭიროს მხარი ხალხის ინიციატივას. არადა, სად ვლინდება ეს ინიციატივა უფრო სრულად, თუ არა სოციალისტურ შეჯიბრებაში?

სწორედ იქ, სადაც შრომობენ შეჯიბრების მონაწილენი, — უშუალოდ შრომით კოლექტივებში, საწარმოებში — საბოლოო შედეგს გვაძლევს სოციალისტური შეჯიბრებისადმი ხელმძღვანელობის ის სისტემა, რომელიც რესპუბლიკაში 1973 წლიდან შეიქმნა.

ამ სისტემის რგოლებია სოციალისტური შეჯიბრებისადმი ხელმძღვანელობის რესპუბლიკური კომისია ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის მეთაურობით, პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებთან, სამინისტროებთან და უწყებებთან, საწარმოებში, ორგანიზაციებსა და მეურნეობებში შექმნილი ანალოგიური კომისიები.

როგორც მთლიანად რესპუბლიკის მასშტაბით, ისე სახალხო მეურნეობის დარგების, რეგიონებისა და შრომითი კოლექტივების მიხედვით შრომითი მეტოქეობის მართვის ამ მწყობრი სისტემის სრულყოფისათვის დიდ მუშაობას ეწევა საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო. მეცნიერებათა აკადემიასთან ერთად შეიქმნა სოციალისტური შეჯიბრების პრობლემების სამეცნიერო საბჭო, გაიხსნა რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდიკური კაბინეტი. ყოველივე ამან შესაძლებლობა მოგვცა მუშაობა სოლიდურ საფუძველზე დაგვეყენებინა, აგვემაღლებინა შრომითი მეტოქეობის ქმედითობა, ეფექტიანობა. ამას ბევრად უწყობს ხელს რესპუბლიკის ხელმძღვანელობის დონეზე სამეურნეო საქმიანობის შედეგების ყოველთვიური შეჯამების პრაქტიკა.

მიმდინარეობს დიდი და მრავალფეროვანი მუშაობა. და მის შედეგებს დამაჯერებლად ადასტურებს ის, რომ საქართველოს სსრ რესპუბლიკა ლენინის ორდენით დაჯილდოვდა მეგობრული გეორგიევსკის ხელშეკრულების 200 წლისთავის დღეებში, რომელმაც სამუდამოდ დაამოყვრა საქართველო და რუსეთი, რომ რესპუბლიკას ზედიზედ მეთერთმეტედ მიენიჭა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის.

და მაინც მიღწეულს ვერ დავჯერდებით. სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვება გვავალებს უკეთ მოვაწყოთ იგი. სამწუხაროდ, შეჯიბრების შედეგების შეჯამების, მოწინავე გამოცდილების პროპაგანდისა და გავრცელების, გამარჯვებულთა მორალური და მატერიალური წახალისების დროს ჯერ კიდევ იჩენს თავს ფორმალიზმის ელემენტები. განა ამ ცოცხალ, შემოქმედებით მუშაობისადმი ასეთ ფორმალურ დამოკიდებულებას არ მოწმობს ფაქტები, რომლებსაც ვხვდებით, მაგალითად, თბილისის ფოლად-თუჯსასხმელო ქარხანაში ან საზეინკლო-სამონტაჟო ინსტრუმენტის საცდელ ქარხანაში, ან მცხეთის საკონსერვო ქარხანაში, ზოგიერთ სხვა საწარმოში, სადაც ბევრმა მუშამ შეჯიბრების თაობაზე არაფერი იცის. მაგალითად, ასეთია საქმის ვითარება კასპის რაიონის სამრეწველო საწარმოებში, სადაც პარტიის რაიონული კომიტეტი ყურადღებას არ უთმობს სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციას, თვითონ იჩენს ფორმალურ დამოკიდებულებას მისდამი, არ ეხმარება პირველად პარტორგანიზაციებს წარმოების ზრდის, მისი ეფექტიანობის ამაღლების ამ დიდი რეზერვის ამოქმედებაში.

ეს მხოლოდ ცალკეული მაგალითებია. ყველა მათგანი მოწმობს, რომ ზოგან ცუდად არის დაყენებული სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციის საქმე. შეჯიბრება კი ფუჭი სიტყვები კი არა, კონკრეტული საქმეებია. მთელ ამ მუშაობას უნდა ვეწეოდეთ სოლიდურად, ფუნდამენტურად, შევუქმნათ მას სამეცნიერო-მეთოდოლოგიური ბაზა. შრომითი მეტოქეობა რესპუბლიკის ეკონომიკის შემდგომი აღმავლობის მძლავრი ბერკეტი უნდა გახდეს — სწორედ ეს არის ახლა ჩვენი ამოცანა. და ამ ამოცანის გადაწყვეტა უნდა იკისრონ პირველადმა პარტორგანიზაციებმა, პარტჯგუფებმა, უშუალოდ საამქროებში, ბრიგადებში, ცალკეულ საწარმოო უბნებზე მომუშავე პარტორგანიზატორთა და პოლიტორგანიზატორთა ახლახან შექმნილმა ინსტიტუტმა.

მთლიანად გაამართლა თავი თბილისის ავიამშენებელთა გამოცდილებამ შრომის ორგანიზაციისა და სტიმულირების ბრიგადული ფორმის პირობებში ორგანიზატორული და იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის გარდაქმნის დარგში, რომელიც მოიწონა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა. ამ ქარხანაში კი კომპლექსურ და სამეურნეოანგარიშიან ბრიგადებში გაერთიანებულია ყველა ბრიგადაში დასაქმებული მუშების 60 პროცენტზე მეტი. ეს გამოცდილება განსაკუთრებით ძვირფასია, თუ გავითვალისწინებთ, რომ რესპუბლიკის მრეწველობაში კომუნისტთა ხვედრითი წილი ბრიგადებში მომუშავეთა შორის 15,5 პროცენტს შეადგენს, პარტიული ჯგუფები კი მხოლოდ ყოველ მეათე ბრიგადაშია შექმნილი.

სოფლის მეურნეობაში ბრიგადული მეთოდით, რომელსაც საფუძვლად უდევს სამეურნეო ანგარიშის პრინციპები საბოლოო შედეგის მიხედვით ანაზღაურების შესახებ, მუშაობს დაახლოებით ორი ათასი ბრიგადა, რგოლი და კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სხვა ქვეგანაყოფები.

იმისათვის, რომ გავავრცელოთ შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების ბრიგადული ფორმა, საჭიროა დიდი ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობა. და შემთხვევითი როდია, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში ხაზგასმით არის აღნიშნული: უნდა გაძლიერდეს პარტიული გავლენა ბრიგადებში, სამეურნეო მექანიზმის ამ მთავარ უჯრედებში.

ახლა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ბრიგადული სამეურნეო ანგარიშის განვითარება, რადგან იგი ხელს უწყობს წარმოების მართვაში ბრიგადის თითოეული წევრის ინიციატივის, გულმოდგინებისა და დამოუკიდებლობის გადიდებას, ზრდის მაღალი საბოლოო შედეგების მიღწევით მათს მატერიალურ დაინტერესებას. დაგვიგროვდა ბევრი საკითხი, რომლებიც პრაქტიკულ გადაწყვეტას საჭიროებს, ესენია შრომითი, მატერიალური და ენერგეტიკული დანახარჯების ნორმატივების, დაგეგმვის, აღრიცხვის სისტემის სრულყოფა და ა. შ.

ამასთან დაკავშირებით საქართველოს პროფსაბჭომ და რესპუბლიკის შრომის სახელმწიფო კომიტეტმა უნდა დააჩქარონ შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების ბრიგადული ფორმის განვითარების პრობლემებისადმი მიძღვნილი რესპუბლიკური თათბირ-სემინარის მომზადება, რომელმაც დასაბამი უნდა მისცეს ახალ მოძრაობას, ახალ ეტაპს მთელ ჩვენს მუშაობაში, რომლის მიზანია საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის შემდგომი ამაღლება.

უზრუნველვყოთ იდეოლოგიური, ორგანიზატორული და სამეურნეო მუშაობის ერთიანობა — ნიშნავს კიდევ უფრო სოლიდურ საფუძველზე დავაყენოთ შრომით კოლექტივებში, პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში ბრძოლა წესრიგისა და დისციპლინის განმტკიცებისათვის, ორგანიზებულობის ყოველმხრივ ამაღლებისათვის, უფრო ფართოდ გავავრცელოთ პატრიოტული თაოსნობანი, მოძრაობა, რომელიც სხვადასხვა დროს დაიწყო თბილისელი ავიამშენებლების, რუსთაველი მეტალურგების, სოფლის მშრომელთა კოლექტივების ინიციატივით.

ამ მრავალმხრივი და მრავალპლანიანი მუშაობის შედეგად, რომელიც რამდენიმე ეტაპს შეიცავს, შევიძინეთ სოლიდური გამოცდილება, მან საშუალება მოგვცა შეგვექმნა სოციალისტური დისციპლინის, მართლწესრიგისა და კანონიერების განმტკიცებისათვის ბრძოლის მწყობრი სისტემა.

დისციპლინის განმტკიცებისა და ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის კოორდინაციის ცალკეული, დაქსაქსული კომისიების ნაცვლად საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან შევქმენით დისციპლინისა და სოციალისტური კანონიერების განმტკიცების სამუშაო ჯგუფი. ანალოგიური სამუშაო ჯგუფები შეიქმნა პარტიის საქალაქო და რაიონულ კომიტეტებთან, სამინისტროებთან და უწყებებთან.

შემოღებულია სახალხო მეურნეობის ძირითად დარგებში დისციპლინის სტატისტიკა — ყოველკვარტალურად წარმოებს ანგარიშგება შრომის დისციპლინის მდგომარეობის შესახებ დარგობრივი და რეგიონალური თვალსაზრისით. მიღწეულია შესამჩნევი ძვრები შრომის, საწარმოო, ტექნოლოგიური, საგეგმო და საფინანსო დისციპლინის განმტკიცებაში. და ახლა ასეთი სტატისტიკის გარეშე ვერ წარმოგვიდგენია ჩვენი ყოველდღიური მუშაობა.

მაგალითად, 1983 წელს 1977 წელთან შედარებით შემცირდა მუშათა კადრების დენადობა, რესპუბლიკის მრეწველობაში მთლიანად იკლო სამუშაო დროის დანაკარგებმა. სამუშაო დროის დანაკარგების შემცირების შედეგად მარტო შარშან გამოშვებული იყო 40 მილიონ მანეთზე მეტი ღირებულების სამრეწველო პროდუქცია.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ბოლო დროს მიწოდების დისციპლინის განმტკიცებას. შარშან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ ორჯერ მიიღო გადაწყვეტილება ამ საკითხზე. აქაც შეიქმნა მართვის გარკვეული სისტემა. საკავშირო დაქვემდებარების სამინისტროებში, უწყებებში, საწარმოებში მოქმედებს სპეციალური ჯგუფები, რომლებიც კომპლექსურად წყვეტენ ამ საკითხებს ადგილობრივ მაკონტროლებელ ორგანოებთან, სახალხო კონტროლის საგუშაგოებთან, პარტიულ კომისიებთან ერთად.

გააქტიურეს მუშაობა სახალხო კონტროლის ორგანოებმა, ცენტრალურმა სტატისტიკურმა სამმართველომ, სახმომარაგებამ, სახსტანდარტმა, სახარბიტრაჟმა, ფინანსთა სამინისტრომ, სამართალდაცვითმა ორგანოებმა. მათს საქმიანობას კოორდინაციას უწევს რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან შექმნილი სახელშეკრულებო ვალდებულებათა დაცვის სამუშაო ჯგუფი, ამ მიმართულებით მეტად აქტიურ მუშაობას ეწევა ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კომისია, რომელიც, არსებითად, მაკოორდინირებელი ორგანო გახდა აქ.

მეცადინეობის ასეთმა კონცენტრაციამ თავისი ნაყოფი გამოიღო. შარშან მიწოდების ვალდებულებათა გათვალისწინებით სამრეწველო პროდუქციის რეალიზაციის გეგმის შესრულების დონე 1,3 პროცენტული პუნქტით უფრო მაღალი იყო, ვიდრე წინა წელს. თავიანთი მაჩვენებლები გააუმჯობესეს საკავშირო დაქვემდებარების პრაქტიკულად ყველა სამინისტრომ და უწყებამ, საწარმოთა უმრავლესობამ.

ამასთან იმავე პერიოდში რესპუბლიკის საწარმოებმა დაახლოებით 12 ათასჯერ დაარღვიეს სახელშეკრულებო პირობები, რისთვისაც გადაიხადეს 40 მილიონ მანეთზე მეტი ჯარიმა, ხოლო სახარბიტრაჟის ხაზით — დაახლოებით 30 მილიონი მანეთი. წარმოიდგინეთ, რა ტვირთად დააწვა ეს ფინანსებსა და ეკონომიკას.

პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირული, კომკავშირული, საკონტროლო და სამართალდაცვითი ორგანოების ამოცანა დღეს ის არის, რომ მთელი წლის მანძილზე იღვაწონ მიწოდების ვალდებულებათა გათვალისწინებით პროდუქციის რეალიზაციის გეგმების სისტემატური და სრული მოცულობით შესრულებისათვის, ამასთან არ შეასუსტონ მუშაობა მთლიანი მაჩვენებლების უზრუნველყოფისათვის.

ახლა უფრო სისტემატურად, ვიდრე მანამდე, წარმოებს მუშაობა რესპუბლიკაში სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცებისათვის. სამართალდაცვითი საქმიანობის ეფექტიანობისა და შედეგიანობის მიღწევას დიდად უწყობს ხელს დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლისა და სამართალდარღვევათა პროფილაქტიკის შედეგების ყოველთვიური შეჯამება, სამართალდარღვევების ფაქტებზე რეაგირებისადმი კონტროლის სისტემა; ჯეროვანი წესრიგის დამყარებისათვის ბრძოლის იდეოლოგიური უზრუნველყოფის ღონისძიებათა კომპლექსი. ამხანაგები იცნობენ ამ სისტემას.

დღეს კვლავ მივაპყრობთ პლენუმის მონაწილეთა ყურადღებას დისციპლინისა და მართლწესრიგის მდგომარეობისადმი კონტროლის თვალსაწიერში შემუშავებულ სისტემას, რომელიც შემოქმედებითად უნდა გამოიყენონ პარტიის რაიონულმა და საქალაქო კომიტეტებმა, სამინისტროებმა და უწყებებმა და იღვაწონ დატაცების, მექრთამეობის, სხვა ბოროტმოქმედებათა პროფილაქტიკისა და თავიდან აცილებისათვის.

ჩვენს წინა პლენუმზე უკვე გვქონდა საუბარი თბილისში, ჩვენს ავტონომიურ ფორმირებებში, ფოთისა და რუსთავში, გარდაბნის და სამტრედიის რაიონებში, სხვა რეგიონებში შემუშავებული დისციპლინის განმტკიცებისათვის გაწეული მუშაობის გამოცდილების შესახებ, აღინიშნა, აგრეთვე, რომ ამ მიმართულებით საკმარისი მუშაობა არ გასწიეს პარტიის ზნაურის, ჩოხატაურის, თეთრი წყაროს და ზოგიერთმა სხვა რაიონულმა კომიტეტმა.

ახლა პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში იხილავენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წერილს სოციალისტური საკუთრების დატაცების, მექრთამეობისა და სპეკულაციის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ. მიმდინარე წლის ოქტომბერში ვაპირებთ განვაზოგადოთ ამ მიმართულებით გაწეული მთელი მუშაობა და მას უწინარეს ყოვლისა პროფილაქტიკურ ღონისძიებათა ეფექტიანობის მიხედვით შევაფასებთ.

უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე რესპუბლიკაში შემცირდა წინასწარგანზრახული მკვლელობებისა და მკვლელობის მცდელობათა, წინასწარგანზრახული მძიმე სხეულებრივი დაზიანებისა, ყაჩაღური თავდასხმების, ძარცვის, პირადი ქონების ქურდობის რიცხვი. იკლო არასრულწლოვანთა შორის დამნაშავეობამ.

მაგრამ სულაც არ გვეფიქრია საქმის გამარტივება. და ის, რომ სტატისტიკა ჩვენს სასარგებლოდ მეტყველებს, სულაც არ ხსნის ჩვენ წინაშე მდგომ პრობლემებს. ჩვენ კვლავაც დაუნდობელ ბრძოლას უნდა ვეწეოდეთ დამტაცებლების, კომბინატორების, საქმოსნების, მექრთამეებისა და სპეკულანტების, კომუნისტური მორალის ნორმებისაგან, სოციალისტური საერთო ცხოვრების წესებისაგან ყოველგვარი გადახრების, ჩვენი კანონების ყოველგვარი დარღვევების წინააღმდეგ.

დისციპლინა და ეკონომიკა განუყრელი ცნებებია. ამიტომაც სოციალისტური ცხოვრების წესის, ჯანსაღი მორალურ-პოლიტიკური კლიმატის შემდგომ დამკვიდრებას, სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფას, ყოველივე იმას, რაც მშრომელებს უქმნის ნაყოფიერი მუშაობის საჭირო პირობებს, რაც აყალიბებს ადამიანის სამუშაო გუნება-განწყობილებას, ჩვენი ეკონომიკური პროგრესის, განვითარებული სოციალიზმის სრულყოფის აუცილებელ პირობად მივიჩნევთ.

უზრუნველვყოთ იდეოლოგიური, ორგანიზატორული და სამეურნეო მუშაობის ერთიანობა — ნიშნავს კიდევ უფრო თანამიმდევრულად, კიდევ უფრო მიზანმიმართულად ვაყალიბებდეთ პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში, შრომით კოლექტივებში კომუნისტებისა და სოციალისტური საზოგადოების ყველა მოქალაქის შეგნებას, თანაც მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ ეს მთელი პარტიის საქმეა.

ახლა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიერ დასახული ამოცანები მოითხოვს კვლავაც ჩამოვუყალიბოთ კადრებს თანამედროვე ეკონომიკური აზროვნება, სამეურნეო ამოცანების გადაწყვეტისადმი პოლიტიკური მიდგომა, უპირველესად კი ხელმძღვანელ შემადგენლობას — ცენტრალური კომიტეტის წევრებსა და ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრებს, პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტების პირველ მდივნებს, მინისტრებს, მსხვილ სამეურნეო მუშაკებს.

არიან მუშაკები, რომლებიც შესამჩნევად იზრდებიან, და ასეთები ბევრი გვყავს, ისინი საქმეს, როგორც წესი, კარგად უძღვებიან, ეკონომიკა ვითარდება დაჩქარებული ტემპით. არიან ისეთებიც, რომლებიც ვერ ერკვევიან ელემენტარულ საკითხებში, არ იცნობენ ღრმად ეკონომიკურ კანონებს, სახალხო მეურნეობის განვითარების, წარმოების, შრომისა და მართვის ორგანიზაციის კანონზომიერებებს, პრინციპებსა და ტენდენციებს. და ამას შედეგად მოსდევს პრიმიტივიზმი, ჩამორჩენილობა, კონსერვატიზმი მუშაობაში, ინიციატივიანობის, დამოუკიდებლობის, ახლის გრძნობის უქონლობა. ეს კი ამოცანად გვისახავს: მოვაგვაროთ მუშაობა ეკონომიკური განათლების სისტემაში, ავამაღლოთ ლექციური პროპაგანდის დონე, უფრო მჭიდროდ დავუკავშიროთ იგი სამეურნეო მშენებლობის პრაქტიკულ ამოცანებს.

სამეურნეო წარმატებების, მაღალი ეკონომიკური მაჩვენებლების იდეოლოგიური უზრუნველყოფა მოითხოვს **იდეოლოგიისა და ეკონომიკის, ეკონომიკისა და პოლიტიკის უფრო მჭიდრო, ორგანულ კავშირს,** ამისათვის კი საჭიროა რომ ჩვენი იდეოლოგიური მუშაკები, ჩვენი კადრები არა მარტო ადასტურებდნენ ამ დებულების დიდ მნიშვნელობას, ასეთი კავშირის საარსებო აუცილებლობას, არამედ პირადადაც სწვდებოდნენ ეკონომიკის სფეროს, სწავლობდნენ და იცოდნენ იგი საფუძვლიანად, ზედმიწევნით, დაწვრილებით, პროფესიულად ერკვეოდნენ მასში, შეეძლოთ ეკონომიკური მაჩვენებლების ანალიზი და აქედან შესაბამისი დასკვნების გამოტანა, საჭირო გადაწყვეტილებების მიღება. სხვაგვარად ვერავითარ იდეოლოგიურ უზრუნველყოფას ვერ მივაღწევთ, და ჩვენი ამხანაგები ვერ გაართმევენ თავს ამ ამოცანას.

ცხოვრების ღრმა წვდომა, ეკონომიკურ პროცესებზე გავლენის მოხდენის უნარი — ასეთია დღეს ჩვენი დაბეჯითებითი, ჩვენი კატეგორიული მოთხოვნა. ღრმა ეკონომიკური ცოდნის გარეშე კარგი ვერ იქნება ჩვენი ეკონომიკური ამოცანების უზრუნველყოფა.

ყურადღებას მიაპყრობს რა იდეოლოგიური მუშაობის საკვანძო მიმართულებებს, რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაცია ნიადაგ სწავლობს **ინტერნაციონალისტური და სამხედრო-პატრიოტული აღზრდის** საკითხებს, იღვწის მისი სისტემურობის, კომპლექსურობისათვის, ამაზეც იყო საუბარი სკკპ ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს სხდომაზე.

ეს სისტემა თანდათანობით, თანამიმდევრულად ყალიბდებოდა. თავდაპირველად გაიმართა ინტერნაციონალისტური აღზრდის პრობლემებისადმი მიძღვნილი საკავშირო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, რომელიც 1976 წელს მოეწყო თბილისში. შემდეგ გაიმართა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის XI პლენუმი, სადაც აღიძრა ეროვნებათაშორისი ურთიერთობის განვითარების უაღრესად აქტუალური პრობლემები და განისაზღვრა ინტერნაციონალისტური აღზრდის შემდგომი ამოცანები. ამას მოჰყვა საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობაზე ეროვნებათაშორისი ურთიერთობის პრობლემების სამუშაო ჯგუფის შექმნა. და ბოლოს, ცენტრალურ კომიტეტთან შეიქმნა ეროვნებათაშორისი ურთიერთობის შემდგომი განვითარებისა და მშრომელთა ინტერნაციონალისტური აღზრდისათვის მუშაობის კოორდინაციის საბჭო, რომელსაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი მეთაურობს. ამ მუშაობაში ნამდვილ სამეცნიერო ბაზად იქცა ხალხთა მეგობრობის მუზეუმი, რომელიც ახლახან გარდაიქმნა ერთაშორისი ურთიერთობისა და ხალხთა მეგობრობის განმტკიცების პრობლემათა დამუშავების სამეცნიერო ცენტრად.

დღეს შეგვიძლია ვილაპარაკოთ ამ მუშაობის შედეგებზე. ადამიანთა შეგნებასა და გონებაში, მათს პრაქტიკულ საქმიანობაში ღრმა კვალი დატოვა უკანასკნელ წლებში განხორციელებულმა იმ სოლიდურმა ღონისძიებებმა, რომლებიც ითვალისწინებს ჩვენი ავტონომიური ფორმირებების — აფხაზეთის ასს რესპუბლიკის, აჭარის ასს რესპუბლიკის, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ჩვენი მრავალეროვანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას. ამ უმნიშვნელოვანესმა პოლიტიკურმა აქციებმა განამტკიცა, გააჯანსაღა ეროვნებათაშორისი ურთიერთობა, ისინი შეესაბამება მოსახლეობის სხვადასხვა ეროვნული და სოციალური ჯგუფის ინტერესებსა და მოთხოვნებს, არა მარტო რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების, არამედ აგრეთვე ცალკეული შრომითი კოლექტივების სამეურნეო, სოციალურ-კულტურული განვითარების საკვანძო ამოცანებს.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა დიდი რუსი ხალხის ენის, ვ. ი. ლენინის ენის, ერთა ურთიერთობის ენის სწავლების სრულყოფას.

ჯანსაღი ზნეობრივ-პოლიტიკური კლიმატის დამკვიდრებას ბევრად უწყობს ხელს სასწავლებლებში ქართული, აფხაზური, ოსური, სომხური, აზერბაიჯანული და ბერძნული ენების შესწავლის გაუმჯობესების ღონისძიებანი.

(დასასრული მე-5 გვ.)

სწორი აზრიდან, გამოცდილებით ყოველმხრივ შეიარაღებულნი — გადავიდეთ გაბედულ მოქმედებაზე!

(დასასრული)

ასეთივე კომპლექსური სისტემა დაედო საფუძვლად საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან შექმნილ სამხედრო-პატრიოტული აღზრდის საკოორდინაციო საბჭოს მუშაობას. ცენტრში და ადგილებზე, სადაც არის ანალოგიური ქვეგანაყოფები, წარმოებს პარტიული კომიტეტების, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო და ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სასაზღვრო ოლქების, სარდლობის, პოლიტორგანოების, ჯარის ნაწილების, სამხედრო კომისარიატების, შრომითი კოლექტივების, სკოლების, პროფტექნიკური სასწავლებლების, უმაღლესი სასწავლებლების, შემოქმედებითი კავშირებისა და დაწესებულებების, ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების, დოსააფის, სპორტული ორგანიზაციების აქტიური ერთობლივი მუშაობა.

ასეთმა სისტემურმა მუშაობამ ბევრი რამ მოგვცა. ახლა უკეთ წარმოებს ჭაბუკების შერჩევა საბჭოთა არმიის რიგებში სამსახურისათვის.

ერთისამად შემცირდა იმ გასაწვევთა რიცხვი, რომლებმაც სუსტად იციან რუსული ენა. ამასთან გაიზარდა უმაღლესი და საშუალო განათლების მქონე ჭაბუკების, მათ ნიშნოსნების, სამხედრო-გამოყენებითი სა-

დაუვიწყარი შეხვედრა

თბილისის სამხატვრო აკადემიაში გაიმართა სსრ კავშირის ლენინის ორდენოსანი სამხატვრო აკადემიის პრეზიდიუმისა და აკადემიის სამხატვრო განათლების სამეცნიერო-მეთოდიკური საბჭოს გაფართოებული სხდომის მონაწილეთა საბოლოო შეხვედრა. სხდომა მიეძღვნა უმაღლესი სამხატვრო სასწავლებლების სტუდენტთა სადიპლომო ნამუშევრების XXI საკავშირო გამოფენის განხილვას.

შეხვედრაზე გამოვიდნენ ლენინგრადის ვ. ი. მუხინას სახელობის უმაღლესი სამხატვრო-სამრეწველო სასწავლებლის რექტორი ტ. სტეპანოვი, ესტონეთის სსრ სახელმწიფო სამხატვრო ინსტიტუტის რექტორი ი. ვარესი, აზერბაიჯანის ხელოვნების ინსტიტუტის რექტორი ა. ასლანოვი, ლატვიის სსრ სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის რექტორი ვ. დიშლერი, კიევის სახელმწიფო სამხატვრო ინსტიტუტის პრორექტორი მ. კრივოლაპოვი. მათ ილაპარაკეს სხდომის შედეგებზე, ახალგაზრდა კადრების მომზადებასთან დაკავშირებულ პრობლემებზე.

საბოლოო სიტყვაში სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის პრეზიდენტმა ბ. უგაროვმა შეაჯამა სხდომის შედეგები.

სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის პრეზიდიუმისა და აკადემიის სამხატვრო განათლების სამეცნიერო-მეთოდიკური საბჭოს გაფართოებულმა სხდომამ მიიღო რეზოლუცია, რომელშიც აღნიშნულია ყოველივე ის დადებითი, რაც გაკეთდა და კეთდება ქვეყნის უმაღლეს სამხატვრო სასწავლებლებში ფუნქციისა და საპროგრამო ინსტიტუტთა ლირსეული ცვლის აღზრდისათვის. ამასთან სასწავლებელთა ხელმძღვანელების, პროფესორ-მასწავლებლების ყურადღება მიაპყრეს არსებით ნაკლოვანებებს, რომლებიც ჯერ კიდევ არის მხატვართა ცვლის მომზადებაში.

შეხვედრის დამთავრების შემდეგ, ვთხოვეთ სხდომის მონაწილეებს გაეზიარებინათ შთაბეჭდილებანი გასული ფორუმის შესახებ, გამოეთქვათ აზრი თბილისის სამხატვრო აკადემიის კურსდამთავრებულთა გამოფენის სადიპლომო ნამუშევრების თაობაზე. კორესპონდენტს კითხვებზე უპასუხეს:

ესტონეთის სსრ სახელმწიფო სამხატვრო ინსტიტუტის რექტორმა ი. ვარესმა.

— არასოდეს დამავიწყდება თბილისური შეხვედრები. სადიპლომო ნამუშევართა XXI გამოფენამ ცხადყო, თუ რა მრავალფეროვანია ახალგაზრდების შემოქმედებითი ძიება, როგორ ამაღლდა მათი მომზადების დონე. ჩვენს ყველა უმაღლესი სასწავლებლის კურსდამთავრებულთა ექსპოზიციებში შეხვდებით ნამუშევრებს, რომლებიც ნამდვილი ნიჭით, პროფესიონალიზმით გამოირჩევა. გამოფენამ კიდევ ერთხელ ცხადყო, რაოდენ დიდია პედაგოგების, უფროსი თაობის ხელოვანთა პასუხისმგებლობა დამწყებ მხატვართა წინაშე.

ალმა-ათის თეატრალურ-სამხატვრო ინსტიტუტის დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების კათედრის გამგემ ქ. მურატაევმა.

— ქვეყანაში ყველაზე ახალგაზრდა უმაღლესი სამხატვრო სასწავლებლის წარმომადგენელს, რომელმაც გამოფენაზე თავისი პირველი გამოშვება წარმოადგინა, მსიამოვნებს მეგობრობის, კეთილმოსურნეობის ატმოსფერო, რომელშიც სხდომა მიმდინარეობდა.

ბევრ რამეს გადავიღებთ თბილისის სამხატვრო აკადემიისაგან. კარგი იქნებოდა დაგვენერგა ამ სასწავლებელში გამოყენებული სწავლების მეთოდები. ჩვენი აზრით საქართველოს უმაღლესი სამხატვრო სასწავლებლის მიერ გამოფენილი ყველა ნამუშევარი მაღალ შეფასებას იმსახურებს.

(საქინფორმი).

7 აპრილი ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო დღეა

მოსკოვი. სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ქირურგიის საკავშირო სამეცნიერო ცენტრის ჰიპერბარიული ოქსიგენაციის ცენტრი ევროპაში უდიდესია. ეს გახლავთ ხუთი უზარმაზარი ფოლადის ცილინდრ-ბაროკამერა, რომლებიც გარშემოსილია რთული ელექტრონული აპარატურით. აქ არის საოპერაციო, თერაპიის განყოფილებაც, კვლევითი კომპლექსიც. ბაროკამერებში უკვე განხორციელდა 400-მდე ქირურგიული ოპერაცია და სარეანიმაციო ღონისძიება, 14.400 თერაპიული სეანსი.

ჰიპერბარიული ოქსიგენაციის ცენტრში არის ერთადერთი ბაროკამერების განყოფილებაც.

ეს გახლავთ უნიკალური სამკურნალო დაწესებულება, რომელმაც ასობით მძიმე ავადმყოფი იხსნა სიკვდილისაგან.



სურათზე: ასე გამოიყურება ჰიპერბარიული ოქსიგენაციის ცენტრის ბაროკამერების კომპლექსი.

მ. სოზინოვისა და მ. კაზანცევის ფოტო. (საკდესის ფოტოქრონიკა).

დამსახურებული აღიარება

— **მაღალი** ჯილდო თითოეულ ჩვენგანს ავალებს მიაღწიოს ახალ შემოქმედებით წარმატებებს, ამრავლოს ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეთა წვლილი რესპუბლიკის მიღწევებში, ხუთწლედის დავალებათა შესრულებაში, — თქვა საქართველოს სსრ რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიის მიღების შემდეგ თავის გამოსვლაში მწერალმა რევაზ ჯაფარიძემ, რომელსაც ეს საპატიო ჯილდო მიენიჭა რომანისათვის „მძიმე ჯვარი".

2 აპრილს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში გაიმართა რუსთაველის სახელობის პრემიისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს პრემიის „ხუთწლედის მატიანის" ლაურეატის დიპლომებისა და სამკერდე ნიშნების გადაცემა, რომლებითაც აღინიშნა ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგის საუკეთესო ნაწარმოებები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგის რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიების კომიტეტის თავმჯდომარემ, მწერალმა-აკადემიკოსმა გ. აბაშიძემ რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატის დიპლომები და სამკერდე ნიშნები გადასცა მწერლებს რ. ჯაფარიძეს, ო. ჭილაძეს და მეცნიერს ლ. ისაკაძეს. ეს მაღალი წოდება მიენიჭათ მხატვრებს ს. თაყაიშვილს, პიანისტ ე. ვირსალაძეს და მხატვარ გ. ქუთათელაძეს (სიკვდილის შემდეგ).

„ხუთწლედის მატიანის" პრემიის ლაურეატის დიპლომები და სამკერდე ნიშნები გადაეცათ პოეტებს ნ. კილასონიას, ი. თარბას, ქ. მარღიევს, კომპოზიტორებს ა. ბალანჩივაძეს, ი. კეჭაყმაძეს, რეჟისორებს გ. ჟორდანიას, გ. ქავთარაძეს, ა. ქანთარიას, კინორეჟისორს გ. ჰუბაბრიას, დრამატურგს ა. ჩხაიძეს, არქიტექტორებს შ. ბოსტანაშვილს, ვ. დავითაიას, თ. ფანიაშვილს, მხატვრებს ვ. ჯაფარიძეს, რ. თორდიას, ტელეჟურნალისტებს ფ. დანელიას, დ. იოსელიანს, ქ. თავაძეს, ა. შენგელიასა და სხვებს.

გ. აბაშიძემ გულთბილად მიულოცა ლაურეატებს საპატიო ჯილდო.

— ამ პრემიების მინიჭება, თქვა მან, უწინარეს ყოვლისა, საყოველთაო-სახალხო აღიარებაა თქვენი შემოქმედებისა, რომელიც სამართლიანად გახდა ჩვენი მრავალეროვნული ლიტერატურისა და ხელოვნების მშვენება, შევიდა საბჭოთა ხალხის სულიერი კულტურის ოქროს ფონდში. მან ლაურეატებს უსურვა ახალი წარმატებანი შემოქმედებაში და გამოთქვა რწმენა, რომ საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწენი კვლავაც შექმნიან ჩვენი გმირული ეპოქის შესაფერ ნაწარმოებებს.

დაჯილდოებულთა სახელით გამოვიდნენ პოეტი ნ. კილასონია, აფხაზი პოეტი ი. თარბა, რეჟისორი გ. ქავთარაძე, დრამატურგი ა. ჩხაიძე, ჟურნალისტი ა. ფრიდმანი. მათ უდიდესი მადლობა გადაუხადეს პარტიასა და მთავრობას მათი შრომის მაღალი შეფასებისათვის და ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ეს ჯილდო სტიმულს მისცემს ახალ ნაწარმოებთა შექმნას, რომლებშიც აისახება გმირული წარსული და სახელოვანი აწმყო ქართველი ხალხისა, საბჭოთა ხალხების ძმურ ოჯახში ახალ ცხოვრებას რომ აშენებს. (საქინფორმი).

14-15 აპრილი ხსოვნის დღეა

კაცი წავიდა, სახელი დარჩა

ისარსა თუ ტარიბანაში, ვაკეთში, ნაომარში — ყველგან თავისი კვალი გაუვლია, სიკეთის თესლი ჩაუგდია, ბევრჯერ კარგი მოსავალიც მოუმკია. იყო სოფელში და სოფლისთვის ზრუნავდა. მას არავისი თქმა არ სჭირდებოდა, თუ რა უნდა გაეკეთებინა. რომ იტყვიან, თავისი საქმე ხუთი თითივით იცოდა: უთენია ადგებოდა, სოფლის გზებსა და ორღობეებს ჩუმად ჩაუვლიდა, მივიდოდა თავის სამყოფელში, სანამ ბრიგადის ბიჭები მოვიდოდნენ, საქმეს ისე აწყობ-დაწყობდა, გაანაწილებდა, რომ თქმის მეტი აღარაფერი იყო საჭირო. რომელ ტრაქტორს, გუთანსა თუ სათესს რა სტკიოდა, იცოდა; ისე არ წავიდოდა ბრიგადიდან სახლში, არ დაიძინებდა, სანამ სახვალიო საქმეს დღეს არ გაიგებდა, არ გაიაზრებდა.

— საქმე, საქმე უნდა გიყვარდეთ, ისე არც კაცი და არც სოფელი არ დაგაფასებთ, — იტყოდა ომახიანად, თვითონ ომახიანი ბრიგადირი და ცხვრისთავისტოლა მუშტით ჰაერში წრეს შემოხაზავდა, გულში კი ჩუმად გაივლებდა თავისთავზე — ასეა, ბაბა, მამ საიდან, რომ ამ ერთი სოფლელი კაცის ვანოს სახელი მოსკოვამდე იციან...

ივანე ბაიდოშვილი — კოლმეურნეობის გამგეობის უცვლელი წევრი, რაიონული საბჭოს დეპუტატი, პარტიის რაიკომის ბიუროს წევრი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, სკკპ XXIII ყრილობის დელეგატი, საქართველოს სსრ დამსახურებული მექანიზატორი, ლენინის ორდენოსანი, სოციალისტური შრომის გმირი... ძნელია ყველაფრის ჩამოთვლა. ერთი კი ცხადია, რომ იგი სიღნაღის რაიონში აღიარებული მშრომელი კაცი, საქვეყნოდ ცნობილი ადამიანი იყო.

ყველაზე ძვირად, ყველაზე ტკბილად კი ვანოს თავისი სოფლის, თავისი ხალხის სიყვარული და პატივისცემა მიაჩნდა. მას დიდი თუ პატარა ვანო ძიას, სოფლის მარჩენალს უწოდებდა. მის სიტყვას ფასი ჰქონდა სოფელში, რაიონში.

ვანო მარტო მშრომელი კი არა, მამაცი მებრძოლიც იყო. 1941–1945 წლებში მამაცად ხელში ფაშისტ დამპყრობლებს ებრძოდა. მის პირად პარტიულ საქმეში წერია: „ი. ვ. ბაიდოშვილი სამამულო ომში მონაწილეობისას საბრძოლო შემართებისა და მამაცობისათვის დაჯილდოებულია ორდენებითა და მედლებით.

...არის შრომისმოყვარე, ენერგიული, თავისი საქმის საუკეთესო მცოდნე, სარგებლობს კარგი ავტორიტეტით რაიონის პარტიულ და სამეურნეო აქტივში, სოფლის მეურნეობის მშრომელთა შორის".

ეს რამდენიმე წელია ვანოს ფეხი აღარ ტრიალებს სოფელში, კოლმეურნეობაში, მისთვის ყველაზე საყვარელ სატრაქტორო ბრიგადაში. ამ ქვეყნიდან წავიდა, სახელი კი დარჩა. მის გაზრდილ ვაჟკაცებს ისევ თვალწინ უდგათ ომახიანი, ვაჟკაცური, ადამიანური ადამიანი, ყურს ესმის მისი მშობლიური რჩევა, დარიგება.

ხშირად მისი ბრიგადის ბიჭებს შინმიმავალი გზისთვის გვერდი აუქცევიათ, სასაფლაოს ბილიკზე აუვლიათ, ვანო ძიას სურათისთვის შეუხედავთ, ვარდობისას ვარდი მიუტანიათ, იების დროს — ია. აი, ახლაც მის საფლავზე იების კონა შევნიშნეთ.

— ძნელია ასეთი კაცის დავიწყება, — გვითხრა კოლმეურნეობის მეგვენახე ბრიგადირმა ვ. გოდერძიშვილმა. მისი წასვლა ჩვენს კოლმეურნეობას ძალიან დაეტყო.

აი, ახლახან სოფლის ცენტრში, კოლმეურნეობის კანტორის წინ, დეკორატიული წყარო მოაწყვეს, მის წინა ფასადზე ვანოს სურათი ჩასვეს, „ვანოს წყარო" შეარქვეს.

სიღნაღის რაიონში, პურეულის მოსავლის აღების დროს, კომბაინერთა შორის შეჯიბრებაში „ივანე ბაიდოშვილის პრიზია" დაწესებული. ორჯერვე იგი ვანოს თანასოფლელებმა, მისმა აღზრდილმა ბიჭებმა დავით ნავროზაშვილმა და ამირან ყანდაშვილმა დაისაკუთრეს, ამისათვის მათ მსუბუქი ავტომანქანა, ტელევიზორი და დასასვენებელი სახლის საგზური ერგოთ.

ივანე ბაიდოშვილის მშობლიურ სოფელს, კოლმეურნეობას შემდგომლობა აქვს აღძრული საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წინაშე, რათა სოფელ მაღაროს კოლმეურნეობას „ივანე ბაიდოშვილის" სახელი ეწოდოს. ეს არა მარტო ამ სოფლის, არამედ მთელი რაიონის მშრომელთა სურვილია.

...ასეა, ტყუილად კი არ უთქვამს ჩვენს მამა-პაპას — კაცი წავიდა, სახელი დარჩაო.

ვლ. მეძღლიშვილი,
„კომუნისტის" საკ. კორ.

ქართული კინოს ახალი სახელები

ნარგიზა გარდაფხაძის დიპლომი

ფილიპი. ქალაქ ტამპერეში ახლახან გამართული მოკლემეტრაჟიანი ფილმების საერთაშორისო ფესტივალის დიპლომით აღინიშნა ახალგაზრდა რეჟისორის ნარგიზა გარდაფხაძის ნამუშევარი. ამასთან დაკავშირებით საქინფორმის კორესპონდენტმა სთხოვა მას მოეთხრო პრემირებული ფილმის, თავისი კოლეგების შესახებ.

— ფილმის „ივანეს" სცენარი მე დავწერე, სურათი კი გადაიღო კინემატოგრაფიის საკავშირო სახელმწიფო ინსტიტუტის საოპერატორო ფაკულტეტის მე-5 კურსის სტუდენტმა გ. თოიძემ, რომლის დოკუმენტურ ფილმს „კომენტატორს" კარგად იცნობენ რესპუბლიკაში. ეკრანული დროის თითქმის მეტ წუთში გვინდოდა მაყურებელს გავსაუბრებოდით იმ ულების გაუცხოებაზე, რომელიც მეტ-ნაკლებად ვითარდება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ეპოქაში ახლობელ ადამიანებს შორისაც კი. ეს სერიოზული პრობლემაა, თუმცა ფილმი სატირული ხუმრობის კილოთი მიმდინარეობს. ფესტივალის ჟიურიმ აღნიშნა თემის აქტუალურობა, მისი საინტერესო გადაწყვეტა.

ნ. გარდაფხაძე კინოში რთული გზით მოვიდა, მას უკვე გვარიანი ცხოვრებისეული გამოცდილება ჰქონდა: დაამთავრა თბილისის კონსერვატორია, დაეუფლა მუსიკისმცოდნის სპეციალობას. მაგრამ კინემატოგრაფის სიყვარულმა იგი სსრ კავშირის კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტთან არსებულ სცენარისტთა და რეჟისორთა უმაღლეს კურსებზე მიიყვანა.

— სარეჟისორო კურსები მშვენიერი სკოლაა, რომელიც საშუალებას იძლევა კარგად დაეუფლო პროფესიას, — თქვა ნ. გარდაფხაძემ. წელს ვამთავრებ სწავლას საბავშვო კინოს განყოფილებაზე ე. გრამატიკოვის სახელოსნოში. ჩემთან ერთად კურსებს დაამთავრებს კიდევ ორი ქართველი სტუდენტი. ესენი არიან არქიტექტორი დ. ნაცვლიშვილი, რომელიც ოსტატობას ეუფლება ე. ლოტიანუს ხელმძღვანელობით, და ლ. ზაქარეიშვილი, რომელიც ა. მიტას სახელოსნოში სწავლობს. მის მიერ გადაღებული მოკლემეტრაჟიანი ფილმი „მამა" აპრილში ნაჩვენები იქნება ობერჰაუზენის საერთაშორისო კინოფესტივალზე.

(საქინფორმი).

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის ლენინური და სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების კომიტეტში

5 აპრილს მოსკოვში აკადემიკოს ა. პ. ალექსანდროვის თავმჯდომარეობით გაიმართა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის ლენინური და სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების კომიტეტის პლენუმი, რომლის მუშაობაში მონაწილეობდნენ ქვეყნის თვალსაჩინო მეცნიერები და სახალხო მეურნეობის სპეციალისტები.

პლენუმმა განიხილა ნამუშევრები, რომლებიც მონაწილეობდნენ 1984 წლის ლენინური პრემიების მოსაპოვებლად გამართულ კონკურსში, და მათი საზოგადოებრივი განხილვის შედეგები.

პლენუმმა კონკურსში მონაწილეობისათვის სსრ კავშირის 1984 წლის სახელმწიფო პრემიის მოსაპოვებლად წარდგენილი ნამუშევრებიდან შეარჩია საუკეთესოები.

დაე, უკვდავი იყოს სიბრძნე, დაე, უკვდავი იყოს სილამაზე! საქართველოს ბუნების დაცვის საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმი ასეთი დევიზით აცხადებს ფოტოკონკურსს საუკეთესო ფოტოსურათისათვის, რომელიც უშუალოდ, ცოცხლად და საინტერესოდ ასახავს ბუნების ეკოლოგიისა და ბუნების ძეგლთა დაცვის პრობლემებს. კონკურსში მონაწილეობა შეუძლია ყველა ფოტომოყვარულს და პროფესიულ ფოტოკორესპონდენტს.

გიწვევთ ფოტოკონკურსზე

კონკურსზე მიიღება შავ-თეთრი და ფერადი სურათები, რომელთა ზომაა 18X24 სმ. ნეგატივის წარმოდგენა აუცილებელია. ფოტოსურათის უკანა მხარეზე წვრილი უნდა იყოს ავტორის გვარი, სახელი და მამის სახელი, მისამართი, პროფესია, მუშაობის ადგილი, ფოტოსურათს უნდა მიეცეს გამომსახველი სახელწოდება.

პრემირებული და ჟიურის მიერ რეკომენდებული ფოტოსურათები დაიბეჭდება რესპუბლიკის ჟურნალ-გაზეთებში. ავტორებმა ნამუშევრები უნდა წარმოადგინონ მისამართით: 380030, თბილისი. ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 35, საქართველოს ბუნების დაცვის რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმი, აღნიშვნით — „ფოტოკონკურსისათვის". ფოტოსურათები და ნეგატივები ავტორებს არ უბრუნდებათ.

კონკურსში გამარჯვებულთათვის დაწესებულია პრემიები:

ერთი პირველი პრემია-150 მანეთი,

ორი მეორე — 100-100 მანეთი,

და სამი მესამე პრემია — 50-50 მანეთი.

კონკურსის საორგანიზაციო კომიტეტი

6 აპრილი

უცხოეთში

ფაქტები მოვლენები საკდესი იუწყება

ინდოეთი კოსმოსური ფრენით ცხოვრობს

დელი. მილიონობით ინდოელი ტელევიზიით ნახა საბჭოთა კავშირ-ინდოეთის ერთობლივი კოსმოსური ექსპერიმენტის უმნიშვნელოვანესი ეტაპი — „სოიუზ ტ-11" კოსმოსური ხომალდის „სალუტ-7" — „სოიუზ ტ-10" ორბიტულ კომპლექსთან შეპირაპირება და კოსმონავტების ი. მალიშევის, გ. სტრეკალოვისა და რ. შარმას სადგურში გადასვლა. იმათ შორის, ვინც ფრენის ამ პასუხსაგებ მომენტს ადევნებდა თვალს, იყვნენ მკვლევარი კოსმონავტის რაკეშ შარმას მშობლები. დედამისმა ტრიპტა შარმამ თქვა: „ბედნიერი ვარ, რომ ჩემს შვილს ასეთი დიდი პატივი ხვდა — პირველი ინდოელი კოსმონავტი".

ამ დღეებში ინდოეთი კოსმოსური ფრენით ცხოვრობს. ბომბეის გაზეთმა „დეილიმ", რომელმაც მოათავსა რეპორტაჟი „სოიუზ ტ-11" კოსმოსური ხომალდის გაშვების შესახებ, წერს: „ინდოეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობამ ახალ კოსმოსურ სიმაღლეებს მიაღწია. ჩვენი ქვეყნის მოქალაქე საბჭოთა კოლეგებთან ერთად მონაწილეობს კოსმოსურ ფრენაში". „რესპუბლიკამ ახალ მიჯნებს მიაღწია მეცნიერებაში, — აღნიშნავს კალკუტის „ტელეგრაფი". — საბჭოთა კავშირ-ინდოეთის კოსმოსური ოდისეა ორი ქვეყნის მეგობრობის ახალი მკაფიო მაგალითია".

„პირველი ინდოელი კოსმონავტის გაფრენა ინდოეთ-საბჭოთა კავშირის ურღვევი მეგობრობის სიმბოლოა, — აღნიშნავს ყოველკვირეული „კარენტი". — ორმა ქვეყანამ კოსმოსში ერთმანეთს მტკიცედ ჩამოართვა ხელი. რ. შარმას გაფრენა რესპუბლიკის თითოეული მოქალაქის გულს ამ მეგობრობისათვის კანონიერი სიამაყითა და სიხარულით ავსებს".

ამ დღეებში ინდოელები განსაკუთრებული მღელვარებით ლაპარაკობენ ორი ქვეყნის ურთიერთობაზე. მე პარლამენტში წარმომადგენ ინდოეთის ტერიტორიის ყველაზე დაშორებულ ნაწილ— ანდამანის კუნძულებს, თქვა ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს ქვედა პალატის დეპუტატმა მანორაჯან ბჰაქტამ. ამ აღელვებულ მომენტში უწინარეს ყოვლისა მსურს მთელი გულით და სულით მივულოცო დიდ საბჭოთა ხალხს „სოიუზ ტ-11" ხომალდის წარმატებით გაშვება და „სალუტ-7" — „სოიუზ ტ-10" ორბიტულ კომპლექსთან შეპირაპირება. სწორედ საბჭოთა ადამიანების, ჩვენი გულწრფელი მეგობრების წყალობით დღეს სამუალება გვაქვს ტელევიზორის ეკრანებზე ვნახოთ კოსმოსურ სკაფანდრში გამოწყობილი ჩვენი ქვეყნის მოქალაქე, რომელთანაც არიან მისი კოლეგები — საბჭოთა კოსმონავტები. ეს ჩვენი მეგობრობის ძალის საუკეთესო დადასტურებაა, რომელმაც სიმტკიცის გამოცდა გაიარა დედამიწაზე, ახლა კი კოსმოსში კალდება. იმჟამად, როცა მსოფლიოში იმპერიალისტური სახელმწიფოების მიზეზით სამხედრო კონფლიქტების ღრუბელი ჩამოწვა, ყველაფერი უნდა ვიღონოთ იმისათვის, რომ დავიცვათ მშვიდობა მშვენიერ პლანეტაზე, რომელსაც დედამიწა ჰქვია. ჩვენს ქვეყნებს შორის მეგობრობა მშვიდობის შენარჩუნების დიდმნიშვნელოვანი ფაქტორია, და უნდა განვამტკიცოთ და განვავითაროთ ჩვენი ხალხების ეს საერთო სიმდიდრე, ხაზგასმით თქვა პარლამენტარმა.

მეგობრობა განმტკიცდება

იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის სკუპშტინის საკავშირო ვეჩეს კომიტეტში

ბელგრადი. იუგოსლავია მზად არის კვლავაც განავითაროს და განამტკიცოს საბჭოთა კავშირთან ყოველმხრივი ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობა. ეს ხაზგასმით აღინიშნა იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის სკუპშტინის საკავშირო ვეჩეს საგარეო პოლიტიკის საკითხთა კომიტეტის სხდომაზე, რომელიც მიეძღვნა საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის ურთიერთობის განვითარებას. სხდომაზე ითქვა, რომ სსრ კავშირისა და იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის ურთიერთობა კარგია, სტაბილურია და ფართოდ ვითარდება სხვადასხვა დარგში, განსაკუთრებით ეკონომიკის დარგში. საბჭოთა კავშირი იუგოსლავიის უდიდესი სავაჭრო პარტნიორია.

ხაზგასმით აღინიშნა, რომ სსრ კავშირში იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის დელეგაციის ამასწინანდელმა ვიზიტმა იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილის ვ. ძარკოვიჩის ხელმძღვანელობით ხელი შეუწყო საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის მეგობრული კავშირის შემდგომ წარმატებით განვითარებასა და განმტკიცებას იმ პრინციპებით, რომლებსაც შეიცავს ბელგრადის 1955 წლის დეკლარაციები და მოსკოვის 1956 წლის დეკლარაციები და განცხადებები. ეს პრინციპები ყველა დარგში ორმხრივი თანამშრომლობის შემდგომი განმტკიცების მყარი და უცვლელი საფუძველია.

კომიტეტმა აღნიშნა, რომ არსებობს კეთილხელსაყრელი შესაძლებლობები ეკონომიკის დარგში ორი ქვეყნის თანამშრომლობის გაფართოებისათვის. უწინარეს ყოვლისა წარმოების სპეციალიზაციისა და კოოპერირების საფუძველზე. აღინიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსა და იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის სკუპშტინის ურთიერთობის შემდგომ განმტკიცებას.

მკაცრად დაგმეს

ჰანოი. ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა გააკეთა განცხადება, რომელშიც მკაცრად დაგმო ტაილანდის ხელისუფალნი ვიეტნამისა და კამპუჩიის წინააღმდეგ ძირგამომთხრელ მოქმედებაში აქტიური მონაწილეობისათვის.

ტაილანდი, აღნიშნულია დოკუმენტში, უშუალოდ მონაწილეობს სამხედრო ოპერაციებში, რომლებიც ითვალისწინებენ პოლპოტელთა ბანდებისათვის დახმარების გაწევას. ეს ბანდები შეიარაღებულ რეიდებს აწყობენ კამპუჩიის სახალხო რესპუბლიკის საზღვრისპირა რაიონებში.

ბანგკოკის პროვოკაციული მოქმედება ძირს უთხრის მშვიდობასა და სტაბილურობას სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, ხელს უწყობს იმპერიალიზმისა და რეაქციის ძალების აგრესიულ გეგმებს. ტაილანდის ჯარების აქციები ამჟღავნებენ ბანგკოკის დანაშაულებრივ პოლიტიკას. ტაილანდის ხელისუფლებმა დაუყოვნებლივ უნდა შეუწყვიტონ დახმარება პოლპოტელთა ბანდებს და ბოლო მოუღონ კამპუჩიის სახალხო რესპუბლიკის წინააღმდეგ შეიარაღებულ აქციებს. საშიში შეიარაღებული პროვოკაციების მძიმე შედეგებისათვის პასუხისმგებლობა აკისრია ტაილანდის მხარეს, ხაზი გაუსვა ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა.

საქმიან ვითარებაში

მოსკოვში გაიმართა ბულგარეთის კომუნისტური პარტიის, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის, ვიეტნამის კომუნისტური პარტიის, კორეის შრომის პარტიის, კუბის კომუნისტური პარტიის, ლაოსის სახალხო-რევოლუციური პარტიის, მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის, რუმინეთის კომუნისტური პარტიის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიისა და ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტების წარმომადგენელთა სამუშაო შეხვედრა. მათ ერთმანეთს გაუზიარეს აზრები საერთაშორისო ოლიმპიური მოძრაობის, მოსახლეობაში მასობრივი ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის განვითარების, ფიზიკური კულტურისა და სპორტის დარგში სოციალისტური ქვეყნების თანამშრომლობის შემდგომი გაფართოებისა და გაღრმავების საკითხებზე.

შეხვედრამ საქმიან, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

კუბის რესპუბლიკის თევზსაჭერი ფლოტი დღითიდღე იზრდება და ახლდება. მის განკარგულებაშია თანამედროვე აღჭურვილი გემები. აქ მოსახლეობას შეუფერხებლად ამარაგებენ თევზით. „ზღვის ნობათს" ხალისით ყიდულობს ბევრი უცხოური სავაჭრო ფირმაც.

სურათზე: თევზსაჭერი გემი განტვირთვის დროს.

ტყიბული დღეს

ახალი მარშრუტები

მიმდინარე ხუთწლედში აქ ბევრი კარგი ღონისძიება განხორციელდა მოსახლეობის ავტობუსებით მომსახურების საქმეში. ქალაქის ერთ-ერთი დიდი სატრანსპორტო ორგანიზაცია — სამგზავრო ავტოსატრანსპორტო საწარმო გადაჭარბებით ასრულებს მგზავრთა გადაყვანის გეგმებს. უკანასკნელი სამი წლის მანძილზე გადაყვანილია 18 მილიონი მგზავრი. საწარმოს ავტოპარკი შეივსო ახალი მსუბუქი ტაქსებით და მიკროავტობუსებით, დაწესდა ახალი მარშრუტები. მშრომელთა უკეთ მომსახურების მიზნით დაინიშნა ტყიბულ-წყალტუბოსა და ტყიბულ-თელავის ავტობუსები. მიკროავტობუსებს რეგულარულად გადაჰყავთ მგზავრები ქვანახშირის მაღაროებს შორის. ყოველი ცვლის დამთავრების შემდეგ 14 ავტობუსი ქალაქიდან გზას იღებს ზონის ისეთი შორეული სოფლებისაკენ, როგორიცაა მუხურა, სოხუეთი, ძიროვანი და სხვ. მათ მეშახტეები საცხოვრებელ სახლებამდე მიჰყავთ.

„აბა, გოგონებო!"

ქალაქის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში მესამედ გაიმართა ნორჩ მეოჯახეთა კონკურსი დევიზით — „აბა, გოგონებო!". ამ საინტერესო ღონისძიებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს ქალაქის საშუალო სკოლების უფროსკლასელებმა, რომლებიც ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ჭრა-კერვის, ქარგვა-ქსოვისა და კულინარიის ხელოვნებაში. კონკურსის მიზანი იყო მოსწავლე გოგონების თავისუფალი დროის სწორი ორგანიზაცია და გონივრული გამოყენება, სასარგებლო საქმიანობის გაცნობა-შესწავლა და დიასახლისის შრომისადმი პატივისცემის გამომუშავება.

შეხვედრა მომავალ სპეციალისტებთან

პარტიის საქალაქო კომიტეტში მოეწყო ქალაქისა და ზონის სოფლების მკვიდრ იმ სტუდენტ-ახალგაზრდებთან შეხვედრა, რომლებიც ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობენ. ახალგაზრდებმა ისაუბრეს მეცნიერების დაუფლების პრობლემებზე, არჩეულ პროფესიაზე და სპეციალობის მიხედვით მუშაობის მომავალ გეგმებზე. სტუდენტთა დიდმა უმრავლესობამ განაცხადა, რომ უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ სამუშაოდ დაუბრუნდება მშობლიურ სოფელს, კოლმეურნეობას, ფერმას, იმ შრომით კოლექტივს, რომელთა რეკომენდაციით ჩაირიცხნენ უმაღლეს სასწავლებლებში.

პარტიის ტყიბულის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ო. მარგალიტაძემ მომავალ სპეციალისტებს გააცნო ქალაქისა და მისი ზონის სოციალური და ეკონომიკური განვითარების პერსპექტივები, ურჩია, მათ, მუდმივი კონტაქტი იქონიონ ადგილობრივ შრომით კოლექტივებთან, ქალაქის პარტიულ, საბჭოთა და კომკავშირულ ორგანიზაციებთან.

ვ. ცირეკიძე,
„კომუნისტის" საკ. კორ.

ჭადრაკი

მატჩი დამთავრდა

მაია ჩიბურდანიძეს მსოფლიო ჩემპიონის წოდებას ირინე ლევიტინა შეეცილება

ვოლგოგრადი. გუშინ სოჭში გათამაშდა ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტების ირინე ლევიტინასა და ლიდია სემიონოვას მატჩის მეთორმეტე პარტია. იგი მოიგო ლევიტინამ და საბოლოო ანგარიში გახდა 7:5. ამრიგად, მსოფლიო ჩემპიონის წოდებისათვის მატჩში მაია ჩიბურდანიძის მეტოქე იქნება ლევიტინა.

სატურნირო ორბიტა

ფეხბურთი. გუშინ გაიმართა უმაღლესი ლიგის გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მეხუთე ტურის სამი მატჩი. გთავაზობთ ამ შეხვედრათა შედეგებს: „დნეპრი"-„სპარტაკი" — 0:1, „შახტიორი"-„ფახთაქორი" — 3:2, ცსკა-მინსკის „დინამო" — 0:0.

დღეს ამ ტურის კიდევ ექვსი მატჩი გაიმართება. თბილისის „დინამო" უმასპინძლებს კიევის „დინამოს", „მეტალისტი" — მოსკოვის „დინამოს", „არარატი" — როსტოვის არმიელთა გუნდს, „ნეფთჩი" — „ჩერნომორეცს", მოსკოვის „ტორპედო" — „ჟალგირისს", „ყაირათი" — „ზენიტს".

გუშინ „ლოკომოტივის" სტადიონზე გაიმართა თბილისის „დინამოსა" და კიევის „დინამოს" დუბლიორთა მატჩი, რომელიც დამთავრდა ფრედ — 1:1. თავდაპირველად კიეველები დაწინაურდნენ, შემდეგ კი ჩიქოვანმა გაათანაბრა ანგარიში.

ჭადრაკი. ლვოვში მიმდინარე ქალთა 51-ე საკავშირო ჩემპიონატის პირველ ტურში დაზავდნენ ჩეხოვა-ვიჟმანავინი, ტუქმაკოვა-ბელიავსკაია და ასეევა-დორფმანი, ხოლო ლერნერმა მოუგო ელვესტს. დანარჩენი პარტიები გადაიდო. მეორე ტურში ნოვიკოვმა დაამარცხა ტუქმაკოვი. ყაიმზე შეთანხმდნენ ასეევა-ბელიავსკია, ხარიტონოვა-ვიჟმანავინი, მიხალჩიშინ-ჩეხოვი, ჩერნინ-სალოვი და ელვესტ-სოკოლოვი. სამი პარტია გადაიდო. მესამე ტურში ჩეხოვმა დაამარცხა ფსახისი, ლერნერმა — ხარიტონოვი, ნოვიკოვმა — ასეევი. ყაიმით დამთავრდა ტუქმაკოვ-ელვესტის, სალოვ-დორფმანის, ლპუტიან-ჩერნინისა და ვიჟმანავინ-მიხალჩიშინის შეხვედრები.

რიგა. უზბეკეთის ქალაქ მარგილანში და ყაზახეთის ქალაქ კუსტანაიში დაიწყო საკავშირო ჩემპიონატი. მარგილანში შეჯიბრების პირველ დღეს თბილისის „ლოკომოტივი" შეხვდა კიევის „ავიატორს" და დამარცხდა ანგარიშით 3:38. კუსტანაიში ქუთაისის სახელმწიფო კომბინატის გუნდმა მოიგო შეხვედრა ლენინგრადის „პრომორეცს" — 18:16.

ჩვენს ტელეეკრანებზე

მოსკოვი

7 აპრილი

პირველი პროგრამა. 9.00 — „დრომა". 9.35 — ჯანმრთელობის მსოფლიო დღე. 10.30 — „სპორტლოტო". 10.40 — წუთები. 11.15 — ეს თქვენ შეგიძლიათ. 12.00 — ვ. გრიგი — საფორტეპიანო კონცერტი. 12.55 — დოკუმენტური ტელეფილმი. 13.35 — ფრონტულ მეგობართა კლუბი. 15.00 — ოჯახი და სკოლა. 15.30 — ახალი ამბები. 15.45 — ფილმ-კონცერტი. 16.10 — თანამედროვე ფორმა. 16.40 — აზჯარა — დაუჯერებელი. 17.40 — ინდოელ მსახიობთა გამოსვლა. 18.30 — გასაუბრებაა პოლიტიკური მიმომხილველი ლ. ა. ვოზნესენსკი. 19.00 — ფეხბურთი. თბილისის „დინამო" — კიევის „დინამო". მე-2 ტაიმი. 19.45 — კონცერტი. 20.20 — მულტფილმები. 20.50 — მხატვრული ტელეფილმი „ვეთილი ფრინველი". 22.00 — „დრომა". 22.35 — „პოეზია". ტარას შევჩენკო. 23.10 — კონცერტი. 24.00 — ახალი ამბები.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.20 — რჩევა-დარიგება ფიზკულტურელებს. 9.30 — მარჯვე ხელი. 10.00 — დილის ფოსტა. 10.30 — დოკუმენტური ეკრანი. 11.30 — ს. ტანეევის რომანსები ასრულებს კ. პლუჟნიკოვი. 11.50 — ორიენტირების ტელესიტყვის პროგრამა. 13.20 — დოკუმენტური ტელეფილმი. 14.20 — მხატვრული ტელეფილმი „სამანეველო სივრცე". I და II სერია. 16.25 — ცირკის არენაზე. 17.30 — საერთაშორისო მიმოხილვა. 17.45 — მულტფილმი. 18.00 — ფეხბურთი. თბილისის „დინამო" — კიევის „დინამო". I ტაიმი. 18.45 — მუსიკალური კიოსკი. 19.15 — კინომაყურებლის თანამოსაუბრე. 20.00 — ფეხბურთი. „ტორპედო" — „ჟალგირისი". მე-2 ტაიმი. 20.45 — ა. ვივალდი. კონცერტი ვიოლინოსა და ორკესტრისათვის. 21.00 — „ძილი ნებისა, პატარებო!". 21.15 — ჯანმრთელობა. 22.00 — „დრომა". 22.35 — მხატვრული ტელეფილმი. 23.35 — ხელბურთი. ქალები. „გრანიტასი" — ცსკა.

თბილისი

პირველი პროგრამა. 9.00 — „დრომა". 9.30 — „მოამბე". 10.05 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „პარატაქსისი". 10.25 — შევისწავლოთ ქართული ენა (სტუდიაში ვ. ბაბუნაშვილი). 10.55 — „ბალღური სიმღერის ამაგდარი" — ოთარ დაბამიძეა. 11.40 — „პოეზიის ხუთი წუთი". 11.45 — შევისწავლოთ რუსული ენა (სტუდიაში მ. ჩხაკაძე). 12.15 — დილის გასართობი პროგრამა. 13.05 — „პოეზიის ხუთი წუთი". 13.10 — „ჯანმრთელობა" — სატელევიზიო პროგრამა. 13.40 — „თბილის კალატოზიშვილის ფილმები საზღვარგარეთის ეკრანებზე" (ჯანმეორებით). 14.30 — „მუსიკალური ფოსტა". 15.25 — „პოეზიის ხუთი წუთი". 15.30 — „კინოაფიშა". 16.00 — ახალი ამბები. 16.10 — საბჭოთა არმიის მეორეწვევამდელთათვის — „სამხრეთის საზღვრების საგუშაგოზე" — სატელევიზიო ფილმი. 16.55 — „პოეზიის ხუთი წუთი". 17.00 — „ბუნების კარი". 17.55 — „პოეზიის ხუთი წუთი". 18.00 — ფეხბურთი საბჭოთა კავშირის პირველობაზე: თბილისის „დინამო" — კიევის „დინამო". რეპორტაჟი თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონიდან. 19.45 — „კინოარკადი". 19.55 — „პოეზიის ხუთი წუთი". 20.00 — „მოამბე". 20.35 — „ცეროდენას ეკრანი". 20.50 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „ვეთილი ფრინველი". პრემიერა. 22.00 — „დრომა". 22.35 — ხელბურთი — ტელეეკრანზე. 22.40 — „ინტერვიუ მატჩის შემდეგ". 22.55 — „პოეზიის ხუთი წუთი". 23.00 — მხატვრული პროგრამა, „ფილმი, მსახიობი, როლი".

თეატრი

რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ძველი სამრეკლო; მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — მეგობრებთან თვითმკვლელობა (დღე ბაღებში კუბებში); თბილისის სახელმწიფო დრამატული — ოქროს გუნდი (პრემიერა); მეტების თეატრი — ალმოდეული წყვდიადში (პრემიერა); მინიატურების სახელმწიფო — ნაკრებები; კინომსახიობთა სახლი — ფუფუნი;

გაზეთ „კომუნისტის" დღევანდელი ნომერი იქსბვჩერდიანია.

რედაქტორი ვ. ბეღინევეშვილი.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 უე 05874 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის ხელის ხელმი უნარის ორდენოსანი სტამბა, ლენინის ქ. 14, მეპონიფი ოდდენარი სტამბა, საბჭოთა კლიავის, ხოყავაული 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20